

2022

# აკადემიური ნაშრომის სტანდარტი

(გზამკვლევი)

## შინაარსი

1. აკადემიური სტილი
2. აკადემიური მოთხოვნები სამეცნიერო/აკადემიური წარმომის მიმართ
3. სამეცნიერო/აკადემიური წარმომის სტრუქტურა
4. სამეცნიერო/აკადემიური წარმომის ტექნიკური პარამეტრები
5. სამეცნიერო/აკადემიური წარმომის ფორმატი ჩიკაგოს სტილით
6. წყაროების დამოწმება ჩიკაგოს სტილით
7. სამეცნიერო/აკადემიური წარმომის ფორმატი APA სტილით
8. APA სტილით დამოწმება წყაროს ტიპის მიხედვით
9. უნივერსიტეტის მოთხოვნები სამეცნიერო სტატიისადმი
10. უნივერსიტეტის მოთხოვნები რეფერატისადმი
11. გამოყენებული ლიტერატურა

# აკადემიური ნაშრომის სტანდარტი

## 1. აკადემიური სტილი

წინამდებარე მოთხოვნები ვრცელდება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) შესრულებულ სამეცნიერო-აკადემიურ ნაშრომებზე, თუ ნაშრომის სპეციფიკიდან ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით, ან უფლებამოსილი ორგანოს მარეგულირებელი აქტით, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აკადემიური სტილი წარმოადგენს წერითი ნაშრომების ერთიანი წესით გაფორმების ჩარჩოს, რომლის გამოყენებით ნაშრომი იღებს ერთიან კონკრეტულ სახეს და ამ გზით ხდება მისი ფორმალიზება. აკადემიური სტილი წარმოადგენს შეთანხმებას აკადემიური ნაშრომის ყველა დეტალთან დაკავშირებით.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო, აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეყრდნობა მსოფლიოში აღიარებულ APA (American Psychological Association style) სტილს და/ან ჩიკაგოს სტილს.

სამეცნიერო-აკადემიური ნაშრომის შექმნა საუნივერსიტეტო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა როგორც პროფესორისთვის, ისე სტუდენტისთვის, ხოლო ნაშრომებზე მუშაობის პრინციპი კი საერთოა ყველასთვის.

## 2. აკადემიური მოთხოვნები სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის მიმართ

სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი საყოველთაოდ მიღებულ აკადემიურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა მეცნიერულობის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმების სახით, კერძოდ:

**კეთილსინდისიერება:** სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ხარისხის საფუძველია. ავტორმა ყველა გამოყენებული წყარო უნდა დაამოწმოს და ნათლად წარმოაჩინოს არგუმენტაციის აგების პრინციპი. მონაცემებით მანიპულირება, მათი გაყალბება და შედეგების გამოგონება დაუშვებელია სამეცნიერო მუშაობის პროცესში.

**ობიექტურობა:** სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური და მასში არ უნდა ვლინდებოდეს ავტორის პირადი დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ.

**მნიშვნელობა:** ეს კრიტერიუმი განაპირობებს დარგში ახალი ცოდნის შექმნას და დარგის/სფეროს წინსვლას. მნიშვნელოვანია ის ნაშრომები, რომლებიც მაღალი ინფორმაციულობით გამოირჩევიან და კვლევები, რომელთაც კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების ამოხსნა/გადაჭრაში შეაქვთ წვლილი.

**ორიგინალურობა:** სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის შემქმნელმა სამუშაო დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს, რაც დამოუკიდებელ აზროვნებას მოითხოვს. ზოგადად, სამეცნიერო ნაშრომში

ორიგინალურობა მიიღწევა ახალი კონცეფციის შექმნით, ინოვაციური სქემის წარმოდგენით, კვლევის ახალი მოდელის/მეთოდის დამკვიდრებით ან პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედვით.

აზრობრივი და ენობრივი სიცხადე: სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ენა სასურველია იყოს, ზუსტი და სადა, ხატოვანობისა და გრძელი (რთული ქვეწყვილი) წინადადებების გარეშე, რაც ართულებს ტექსტის წაკითხვას და კიდევ უფრო მეტად, მის გაგებას. წინადადებები უნდა იყოს მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული; დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მართლწერის საკითხებს, დაუშვებელია გრამატიკული, ბეჭდური და სტილისტური შეცდომები. ნაშრომი უნდა შესრულდეს სამეცნიერო მეტა-ენით (აღწერითი ენა) და ზომიერად გამოყენებული დარგობრივი ტერმინებით, საჭიროების შემთხვევაში კი მათი განმარტებით, რათა ტერმინთა მრავალმნიშვნელობამ გაუგებრობა ან ბუნდოვანება არ გამოიწვიოს მკითხველში.

ვალიდურობა (საფუძვლიანობა, დასაბუთებულობა): მნიშვნელოვანია, აკადემიურ ნაშრომში საკვლევი პრობლემის საფუძვლიანად გააზრება, სამეცნიერო ლიტერატურისა თუ სხვა საკვლევი ინსტრუმენტების ზედმიწევნით შერჩევა და მათი ურთიერთკავშირის მკაფიოდ წარმოჩენა.

გამჭვირვალობა/გადამოწმება: სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი არა ვარაუდებზე, არამედ გადამოწმებულ, სანდო ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უნდა აიგოს და მოყვანილი არგუმენტები ზედმიწევნით, უშეცდომოდ უნდა იყოს დამოწმებული, რათა მკითხველს, (უწინარესად კი სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ხელმძღვანელს, დარგის სპეციალისტს) სურვილის შემთხვევაში, კვლევის გადამოწმება არ გაუჭირდეს.

### 3. აკადემიური/სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის სტრუქტურა

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომების მირითად სახეებს მიეკუთვნება: საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი, სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია და მათ მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა აქვს, კერძოდ:

საბაკალავრო ნაშრომი: საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტი იკვლევს და ამუშავებს კონკრეტულ საკითხს არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით. სტუდენტს ევალება საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და მონაცემების შეგროვება, გაანალიზება, კონკრეტული საკვლევი მეთოდის შერჩევა, კვლევის დაგეგმა/წარმართვა და შემდეგ გადმოცემა. ნაშრომში ასახული უნდა იყოს საბაკალავრო საფეხურზე სწავლის განმავლობაში შეძენილი თეორიული და დარგობრივი ცოდნა.

სამაგისტრო ნაშრომი: სამაგისტრო ნაშრომში სტუდენტმა უნდა გამოავლინოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ახალი, ორიგინალური მეთოდების შემუშავება/გამოყენების უნარი. არგუმენტირებული მსჯელობით და ანალიზით უნდა წარმოაჩინოს კონკრეტულ საკვლევ საკითხზე არსებული მდგომარეობა სამეცნიერო დისციპლინაში.

მონოგრაფია (Gk. *monos* და *graphē* "ერთი" და "ვწერ") ვრცელი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც ყოველმხრივ შესწავლილი და დამუშავებულია ამა თუ იმ მეცნიერული დარგის რაიმე სპეციალური საკითხი, პრობლემა, თემა;

სამეცნიერო სტატია: კვლევითი სტატია, ახალი ცოდნის შექმნას ისახავს მიზნად. იგი შედარებით მცირე ზომის ნაშრომია, ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ საკითხზე, ასახავს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ორიგინალურ კვლევას და არგუმენტირებულ მიგნებებს.

მეტწილად იბეჭდება სამეცნიერო კრებულებში/ჟურნალებში და მის მოცულობასა და სტილს სწორედ ჟურნალის/კრებულის გამომცემლობა განსაზღვრავს.

სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა
<ul style="list-style-type: none"><li>• თავფურცელი;</li><li>• შინაარსი (სარჩევი);</li><li>• შესავალი;</li><li>• ძირითადი ნაწილი (თავები, ქვეთავები);</li><li>• დასკვნა;</li><li>• ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა;</li><li>• დანართი</li></ul>

## 1. თავფურცელი

ნებისმიერი ტიპის აკადემიური ნაშრომი იწყება თავფურცლით, ე.წ. სატიტულო გვერდით, რომელზეც შემდეგი ინფორმაცია უნდა განთავსდეს: ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, ნაშრომის ტიპი (საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი და.შ.), ფაკულტეტის ან პროგრამის დასახელება, კურსის ან სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, უნივერსიტეტის სახელწოდება, ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი. თავფურცელი არ ინომრება, მონაცემები კი იწერება ცენტრირებულად, შემდეგი თანმიმდევრობითა და შრიფტის პარამეტრებით.

- 1) უნივერსიტეტის დასახელება -14, გამუქებული;
- 2) ფაკულტეტი, პროგრამა - 12, გამუქების გარეშე;
- 3) ნაშრომის სათაური - 14, გამუქებული;
- 4) ავტორის სახელი და გვარი - 12, გამუქებული;
- 5) ნაშრომის ტიპი - 12, გამუქების გარეშე;
- 6) ხელმძღვანელის მონაცემები - 12, გამუქების გარეშე;
- 7) ქალაქი და წელი - 12, გამუქებული.

## 2. შინაარსი (სარჩევი)

შინაარსი (იგივე სარჩევი) ნაშრომის აგებულებას წარმოაჩენს და ამით მკითხველს ორიენტაციას უადვილებს. იგი ქმნის სისტემას, რომელიც აჩვენებს, როგორ არის გააზრებული საკითხი, როგორ იყოფა საკვლევი პრობლემა კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად, რა თანმიმდევრობით ხდება საკითხის გამოკვლევა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის სარჩევი ლოგიკურად აგებული, ადვილად გასაგები უნდა იყოს, მასში შესული თითოეული პუნქტი საკვლევ საკითხს უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს. სარჩევის ნუმერაცია ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს თემის სტრუქტურას. ნაშრომში თავებისა და ქვეთავების გამოყოფისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ თავი მინიმუმ ორი ქვეთავისაგან უნდა შედგებოდეს. მათი სათაურები კი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული და ზუსტად უნდა ასახავდეს კონკრეტულ თავში განხილულ შინაარსს. სწორად შერჩეული სათაურებით მკითხველმა დაახლოებით იცის, რას უნდა ელოდოს თითოეული თავისგან.

სარჩევში სათაურების ფორმულირებისას, მნიშვნელოვანია შემდეგი წესების დაცვა:

- 1) სათაური უნდა იყოს მოკლე და გადმოსცემდეს ინფორმაციას;
  - 2) იწერება ნომინალური სტილით (ნაკლები ზმნები, მეტწილად - არსებითი სახელები);
  - 3) იწერება სასვენი ნიშნების გარეშე (გამონაკლისა სათაურები, რომლებიც ფორმულირებულია როგორც კითხვა და ამრიგად, ბოლოში კითხვის ნიშანი უნდა დაიჩიროს);
  - 4) ქვეთავების სათაურები ნაშრომის ძირითადი სათაურის იდენტური არ უნდა იყოს;
  - 5) ერთი სათაური მხოლოდ ერთხელ უნდა გვხვდებოდეს ნაშრომში;
  - 6) თავიდან უნდა იქნეს აუცილებული არაფრისმთქმელი და შაბლონური სათაურები: „ზოგადი წესები“, „ზოგადი საფუძვლები“, და ა.შ.
3. შესავალი

სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის შესავალი ნაწილის ფუნქციაა, წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს თემის შესახებ და განაწყოს იგი ნაშრომის გასაცნობად. შესავალი, როგორც წესი, იწყება საკვლევი პრობლემის აღწერით, გრძელდება კვლევის აქტუალობის/მნიშვნელობის დასაბუთებით და სრულდება კვლევის მიზნისა და ამოცენების (საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზის) ჩამოყალიბებით. როგორც წესი, შესავალი ნაშრომის არაუმეტეს 15%-ს შეადგენს. შესავალი არ ემსახურება ვრცელ, არგუმენტირებულ მსჯელობას. აյ მნიშვნელოვანია, კონკრეტული საკითხის დასმა და პასუხამდე მიმავალი გზის ჩვენება. ამრიგად, აკადემიური ნაშრომის შესავალ ნაწილს გადმობრუნებული სამკუთხედის ფორმა აქვს, სადაც საკვლევი საკითხი ზოგადი თეორიული კონტექსტის აღწერიდან ინდივიდუალური საკვლევი კითხვის დასმამდე ვიწროვდება:



შესავლის სტრუქტურის აღწერა

- 1) საკვლევი პრობლემის წარმოდგენა და აღწერა: ნებისმიერ კვლევას სჭირდება საფუძველის მომზადება იმისთვის, რათა მკითხველი დარწმუნდეს მისი ჩატარების აუცილებლობაში. პირველი ხუთი-ექვსი სტრიქონი უნდა დაეთმოს საკვლევი თემის კონტექსტის აღწერას. ამისთვის შესაძლებელია, საკვლევ შეკითხვასთან დაკავშირებული თეორიული საფუძვლების ან საკითხის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, პრობლემის აღწერის დაწყება სასურველია

მნიშვნელოვანი გამონათქვამით, წინააღმდეგობრივი დებულებით ან აქტუალური მოვლენით, რაც დაუკავშირდება განსახილველ საკითხეს.

- 2) კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა: შესავალ ნაწილში უნდა დაასაბუთდეს საკვლევი საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა. ამისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტატისტიკური მონაცემები, მაგალითები და ა.შ. საცნაურია, რომ ერთი კონკრეტული მაგალითით ვერ დაამტკიცებთ პრობლემის აქტუალობას. რთულია, დამწყებმა მკვლევარმა აღმოაჩინოს სრული სიახლე საკვლევ თემასთან დაკავშირებით. მთავარია, საკითხისადმი ახლებური მიდგომის წარმოჩენა. შესაძლებელია საკვლევი საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა და მინიშნება, რომ კვლევებმა სრულად ვერ მოიცვეს ან ამოწურეს საკითხი/პრობლემა, ან არსებობს გარკვეული ხარვეზები.
- 3) კვლევის მიზანი და საკვლევი შეკითხვა: შესავლის სწორედ ამ ორი კომპონენტით ზუსტდება, თუ რა იქნება განხილული ნაშრომში. კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები აკადემიური ნაშრომის ძალზე ღირებული ერთეულებია, ხოლო მათი ნათლად ფორმულირება - ნაშრომის წარმატების საწინდარი. აკადემიური ნაშრომის კვლევის მიზანი შეიძლება იყოს გარკვეული წვლილის შეტანა: კონკრეტული საკითხ(ები)ს უკეთ გააზრებაში; კონკრეტულ საკითხ(ები)ზე ცოდნის მოგროვებასა და განვრცობაში; თეორიების, პოზიციებისა თუ შეხედულებების შედარებაში; ფაქტობრივი მასალის ანალიზში; მხატვრული ტექსტის და ა.შ. ინტერპრეტაციაში და სხვა.
- 4) შესავლის ამ ნაწილში შესაძლებელი აღიწეროს, თუ როგორ წარიმართება კვლევა და რა მეთოდებით დამუშავდება საკითხი.
- 5) შესავლის ბოლო სამი-ოთხი სტრიქონი ეთმობა ნაშრომის აგებულების მოკლე აღწერას, რომლის ჩამოყალიბება დაახლოებით ამგვარადაა შესაძლებელი: „ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმობა პრობლემის/საკითხის A ასპექტის კვლევას, მეორე ნაწილში განიხილება „B“ და ა.შ.

#### 4. ნაშრომის ძირითადი ნაწილი

აკადემიური ნაშრომის ბირთვია და შესაბამისად, ყველაზე ვრცელი სტრუქტურული ერთეული. მისი მთავარი დანიშნულებაა, შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებზე პასუხების მოძიება თეორიული ან/და ემპირიული კვლევის საფუძველზე. ძირითადი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს: თემის ისტორიული წანამდლვრების აღწერას და მთავარი ცნებების განმარტებას, ტექსტების ინტერპრეტაციას, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვასა და მასზე დაყრდნობით საკვლევი პრობლემის დეტალურ ანალიზს, თეორიათა შედარებას და ემპირიული კვლევების შეფასებას, ემპირიული კვლევის განხორციელების და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, ექსპერიმენტების აღწერას და ა.შ. ძირითადი ნაწილის ფორმა და შინაარსი მთლიანად დამოკიდებულია საკვლევ ობიექტზე, კვლევის მიზანსა და საკვლევ კითხვაზე და ამრიგად, მისი აგების ერთი უნივერსალური წესი არ არსებობს. თუმცა, ზოგადი მოთხოვნების ჩამოყალიბება აქაც შესაძლებელია, სახელდობრ:

საკვლევი საკითხის ისტორიის წარმოდგენა/კონტექსტის აღწერა/ცნებების განმარტება: საკვლევ საკითხთან დაკავშირებული კონტექსტის გაანალიზება ძირითადი ნაწილის აგების პირველი ეტაპია. კონტექსტში იგულისხმება ის კულტურული, ეკონომიკური, სოციალური თუ ისტორიული პირობები, სადაც ეს საკითხი წარმოიშვა ან არსებობს. როგორც ცნობილია, მეცნიერების ყველა სფეროს თავისი დარგობრივი ლექსიკა აქვს. სასურველია, კონტექსტის აღწერის პარალელურად ნაშრომისთვის საკვანძო ტერმინების განმარტება (საქმე ისაა, რომ ხშირად

ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა დარგში შეიძლება შინაარსობრივად განსახვავდებოდეს, რათა მკითხველმა გაარკვიოს, რა იგულისხმება ამა თუ იმ ცნებაში და რა მნიშვნელობითაა ის გამოყენებული ნაშრომში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ძირითადი ნაწილის კიდევ ერთი აუცილებელი კომპონენტია და გულისხმობს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის, უკვე ჩატარებული ემპირიული კვლევების მიმოხილვას, კონკრეტულ თემაზე არსებული ცოდნის წარმოჩენას და ამ ცოდნის დაკავშირებას ნაშრომთან. მიმოხილვისას ხორციელდება სხვათა კვლევების კონკრეტული კრიტერიუმებით შეფასება. კრიტიკა, ძლიერი მხარეების და ხარვეზების გამოააშკარავება. ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას ავტორი აჩვენებს, რომ შეუძლია მიაგნოს საკითხზე უკვე არსებულ ცოდნას, დაამუშაოს, გაიაზროს, გადმოსცეს იგი და გამოიყენოს საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნებისთვის.

სტრუქტურირება: ძირითადი ნაწილის თითოეულ თავს თუ ქვეთავს თავისი სტრუქტურა უნდა გააჩნდეს. სტრუქტურირება ეხმარება ავტორს აზრების დაწყობაში, კავშირების წარმოჩენაში და ა.შ. სასურველია, თითოეული თავის დასაწყისში წარმოდგენილი იყოს თუ რაზე იყო მსჯელობა და რა გამოიკვეთა წინამორბედ თავში; როგორია ამ თავის მნიშვნელობა მთელი ნაშრომისთვის და როგორაა ის აგებული; თავები/ქვეთავები უნდა სრულდებოდეს განხილულ საკითხთა მოკლე შეჯამებით.

მეთოდოლოგია: ამ ნაწილში აღიწერება კვლევის წარმართვის დეტალები: რომელი წესების, პროცედურების, მიდგომებისა ანდა ხელსაწყობის საშუალებით ხორციელდება კვლევა. კვლევის მეთოდები განსხვავდება დისციპლინების მიხედვით. არსებობს მეთოდები, რომელთა საშუალებითაც რამის გაგებაა შესაძლებელი და მეთოდები, რომელთა დახმარებითაც ფაქტები, მოვლენები თუ შემთხვევები აიხსნება. ამდენად, სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ძირითადი ნაწილი არის კვლევის მსვლელობის აღწერა: რა იქნა წაკითხული, გაანალიზებული, რისი ინტერპრატაცია მოხდა, რა მონაცემები იქნა მოპოვებული და როგორ იქნა ისინი შეფასებული. ამ კომპონენტების შესასრულებლად კი აუცილებელია, აკადემიური მუშაობის შემდეგი ტექნიკების გამოყენება:

- 1) წყაროების მოძიება;
  - 2) არგუმენტირება;
  - 3) ციტირება, პარაფრაზირება და რეზიუმირება;
  - 4) წყაროების გამოყენება და დამოწმება.
5. დასკვნა

---

სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის დასკვნა შესავალ ნაწილთან ერთად ნაშრომის ჩარჩოს ქმნის და ეს ორივე კომპონენტი მჭიდროდ უკავშირება ერთმანეთს. დასკვნა აგვირგვინებს ნაშრომს და შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაწინაარის. დასკვნის დანიშნულებაა, ჩამოაყალიბოს პასუხი საკვლევ კითხვაზე და წარმოაჩინოს, როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ამ ნაწილში უნდა შეჯამდეს კონკრეტული შედეგები, კერძოდ აღიწეროს, რა დადგინდა კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის და ა.შ. შედეგად. იგი სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

- 1) კვლევის მიზნის, ამოცანების (მთავარი კითხვების) რეკონსტრუქცია;
- 2) კონკრეტული შედეგების წარმოდგენა;

3) სამომავლო პერსპექტივების დასახვა (არასავალდებულო ნაწილი საბაკალავრო ნარომისთვის)

დასკვნაში არ ხდება ახალი თემის წამოწევა და მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ნამრომის ძირითად ნაწილში არ იქნა განხილული. სამაგიეროდ, მასში კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რა არის კვლევის მონაპოვარი და რა სიახლე შეაქვს მას საკითხის შესახებ არსებულ ცოდნაში.

დასკვნა ლაკონური და მოკლე უნდა იყოს და ნაშრომის არაუმეტეს 10%-ს წარმოადგენდეს. დასკვნაში არ იწერება: ის მონაცემები, რომლებიც უავე აღწერილია ნაშრომის შესავალ ან ძირითად ნაწილებში; თეორიული მიმოხილვა ან კონტექსტის აღწერა; ციტატა და პარაფრაზი, რადგან დასკვნაში მხოლოდ კვლევის შედეგები უნდა წარმოჩინდეს და აქ სხვა ავტორთა მოსაზრებები უადგილოა; ცნებებათა განმარტებები.

## 6. ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლიოგრაფია, იგივე გამოყენებული ლიტერატურა, სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და ციტირებული ყველა წყარო არის აღნუსხული ანბანური თანმიმდევრობით. ბიბლიოგრაფიის /გამოყენებული ლიტერატურისადმი ფორმალური მოთხოვნები დეტალურად აღწერილია ამ დოკუმენტის მე-10 და მე-11 მუხლებში.

## 7. დანართი

მონაცემები და ფაქტები, რომლებიც ნაშრომის გასაგებადაა საჭირო, ან ავტორის მსჯელობას ამყარებს, შესაძლებელია, დანართში განთავსდეს. მისი საშუალებით მკითხველი იღებს დეტალურ ინფორმაციას კონკრეტულ საკითხზე. დანართის დართვა იმ შემთხვევაშია გონივრული, თუ აღნიშული მონაცემები იმდენად მრავლისმომცველია, რომ მათი ძირითად ტექსტში მითითება ტექსტის კითხვას გაართულებდა. ამგვარი მასალები კვლევის დეტალებს წარმოადგენს და მათი მაგალითებია: კითხვარი ინტერვიუებისთვის, ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ნახატები, ხელნაწერები და ა.შ. თუ ნაშრომს ერთზე მეტი დანართი აქვს, ისინი უნდა დაინომროს, ხოლო დანართის დამოწმება ხდება ტექსტში ჩართული დამოწმების ფორმატით.

## 4. სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ტექნიკური პარამეტრები

სამეცნიერო ნაშრომში თანაბრად ექცევა ყურადღება შინაარსსა და ფორმას. ეს უკანასკნელიც განსაზღვრულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს და ამრიგად, მართებულად დაფორმატებული შინაარსის გარეშე ნაშრომი ვერ იქნება ღირებული.

გურამ თავართქმილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილია სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ფორმატთან დაკავშირებული მოთხოვნები, კერძოდ Microsoft Word-ის დოკუმენტის დაფორმატების ძირითადი წესებია:

ენა: წერითი ნაშრომები შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ნაშრომის შესრულება სხვა ენაზეც. უცხო ენაზე შესრულებულ ნაშრომთა სტანდარტებს დამატებით ადგენს უნივერსიტეტი.

ქაღალდი: ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე, ორიენტაცია-ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს ერთ გვერდზე. ნახაზები, ცხრილები, ფოტოსურათები შესაძლებელია შესრულებულ იქნეს ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში, აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

შრიფტის ტიპი: ქართულენოვანი ტექსტის შემთხვევაში გამოიყენება შრიფტი Sylfaen (ქართულ უნიკოდში შესრულებული). აუცილებელია, რომ ერთი ნაშრომის ფარგლებში შენარჩუნებული იყოს შრიფტის მხოლოდ ერთი ფორმატი. უცხო ენაზე შესრულების, ან წყაროების მითითების შემთხვევაში გამოიყენება „Sylfaen“ ან „New Times Roman“ შრიფტი.

შრიფტის ზომა: ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 11; სათაურის შრიფტის ზომა - 14, გამუქებული (Bold), ცენტრირებული; სქოლიოსა და ტექსტიდან გამოყოფილი ციტატის შრიფტის ზომა - 10;

ველები (არეები): ზედა ველი - 2 სმ; ქვედა ველი - 2 სმ; მარცხენა ველი - 2,5 სმ; მარჯვენა ველი - 1,5 სმ; ტექსტი ორივე, მარჯვენა და მარცხენა კიდეზე მწყობრად უნდა განლაგდეს, ამისთვის უნდა მოინიშნოს - Justify Text.

აბზაცები: როგორც წესი, ტექსტი უნდა დაიყოს აბზაცებად. სასურველია, თითოეული აბზაცი არ იყოს 3 სტრიქონზე ნაკლები.

სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისათვის ინტერვალი არის 1,5. მცირე ზომის სექციებისთვის შრიფტის ზომა შეიძლება იყოს 10, ხოლო სტრიქონებს შორის მანძილი (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, სქოლიო, შენიშვნა, და სხვა) -ინტერვალი 1.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი დანომრილი უნდა იყოს თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება და, ასევე, გვერდების გამეორება. შესავალი გვერდები ტექსტის ძირითად ნაწილთან ერთად, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება თაბახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - 11.

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავისა და ქვეთავის სათაური უნდა აისახოს სარჩევში (შინაარსი). ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტი, შესაბამისად ზომით - 14 (თავი) და ზომით -12 (ქვეთავი).

## 5. სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ფორმატი ჩიკაგოს სტილით

სამეცნიერო ნაშრომში ნებისმიერი უცხო თვალსაზრისის (რომელიც სხვა წყაროდან არის ამოწერილი, ნასესხები) შემოწმება აკადემიური წერის ტექნიკების (ციტირება, პარაფრაზი, რეზიუმირება, Passim, მინიშნება) გამოყენებას მოითხოვს, რაც სათანადოდ უნდა იყოს ტექსტში დამოწმებული. ამასთან, თუ საქმე ეხება საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას, დამოწმება საჭირო არ არის. წყაროების დამოწმება ასევე არის პლაგიატისგან თავის დაცვის საუკეთესო მექანიზმია.

ამ ტექნიკების გამოყენება და მათი ხარისხის ნაშრომის მეცნიერულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კრიტერიუმია.

## 1. ციტატა-ციტირება

ციტატა არის ნაშრომში რომელიმე სხვა ტექსტიდან სიტყვასიტყვით, უცვლელად გადმოტანილი მონაკვეთი. ციტატებით შეიძლება გამყარდეს ავტორის მოსაზრებები დამატებით ფაქტების ჩვენებით; გამოყენებულ იქნეს დედნის დარგობრივი ლექსიკა, ენობრივი სტილი; მოყვანილ იქნეს საწინააღმდეგო თვალსაზრისი ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით; შეიქმნას საფუძველი შემდგომი მსჯელობისთვის. ციტირებისას, მნიშვნელოვანია, შემდეგი წესების გათვალისწინება და დაცვა:

ციტირება აკადემიური / სანდო წყაროდან: ციტატები უნდა შეირჩეს სიფრთხილით, რადგან რელევანტური და სანდო წყაროდან ციტირება ნაშრომის ღირებულებას განსაზღვრავს, ნაშრომს ხარისხსა და დამაჯერებლობას სძენს და ამასთანავე, ავტორის მაღალ პროფესიონალიზმზე მიანიშნებს. „მკითხველი აფასებს კვლევას იმდენად, რამდენადაც ენდობა მასში მოყვანილ წყაროებს“ (თურაბიანი 2007, 111).

ციტატების რაოდენობა ტექსტში: სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი საკუთარი სიტყვებით უნდა დაიწეროს, ციტატები კი მხოლოდ მაშინ ჩაერთოს ტექსტში, თუ მსჯელობის სხვაგვარად განვითარება გარდაუვალია. სხვათა ნააზრევის დიდი რაოდენობით და სიტყვასიტყვით გადმოწერა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ავტორს გაუჭირდა თავისი მოსაზრებების გადმოცემა და მარტივი გზა იპოვა ნაშრომის დასაწერად. ბევრი ციტატა მხოლოდ აზიანებს ნაშრომს.

ბრჭყალები: სხვადასხვაენოვანი ციტატების მოყვანისას ბრჭყალების ფორმატი განსხვავებულია. ქართული და გერმანულენოვანი წყაროების ციტირებისას გამოიყენება ორმაგი ბრჭყალები ამგვარი სახით „...“, ინგლისურენოვანი ციტატებისთვის — “...”, ხოლო ფრანგულენოვანი ტექსტების შემთხვევაში — კუთხოვანი ბრჭყალები<<...>>.

მოკლე ციტატა: მოკლეა ციტატა, რომელიც არ აღემატება ოთხ სტრიქონს. იგი ჩვეულებრივ, განთავსებულია ძირითად ტექსტში და ჩასულია ბრჭყალებში.

გრძელი ციტატა: ოთხ სტრიქონზე მეტია და ბრჭყალების გარეშე იწერება. თვალსაჩინოებისთვის ძირითად ტექსტს გამოყოფა ქვემოთ და ზემოთ თითო ხაზით, კიდეები შეწეულია თითო სანტიმეტრით, მცირდება შრიფტის ზომა (11) და სტრიქონებს შორის ინტერვალი (1,15).

ფრაგმენტული ციტატა: იმისათვის, რათა მოყვანილი ციტატა ლოგიკურად გადაებას ავტორის მოსაზრებებს, დასაშვებია, ციტატის შეცვლა, ოღონდ ისე, რომ ამით არ შეიცვალოს მისი შინაარსი. თუ ციტატაში საჭიროა სიტყვის ან წინადადების გამოტოვება, გამოტოვებული მონაკვეთი აღინიშნება კვადრატული ფრჩხილებით — [...]. თუ ციტატაში რამეს ჩამატებაა საჭირო, მაგალითად ტერმინის ან გარკვეული ფაქტის განმარტება, უნდა აღინიშნოს [კვადრატული] ფრჩხილებით. ფრჩხილებში მოთავსდება ავტორის კომენტარი ან განმარტება.

ციტატა ციტატაში: თუ მოყვანილია სხვა წყაროში ციტირებული ციტატა, ის უნდა ჩაისვას ერთმაგ, მარტივ ბრჭყალებში, ე.წ. აპოსტროფებში (...‘ , ’..., >...<). თუმცა სასურველია, რომ ციტატები ყოველთვის დედნიდან იქნეს მოყვანილი. ვინც ე.წ. „მეორად “ციტატებს იყენებს, საფრთხის წინაშე დგება და შეიძლება არასწორად დამოწმებული ციტატა გადმოიწეროს.

უცხოენოვანი ციტატა: უცხოენოვან სამეცნიერო წყაროებზე მუშაობისას სასურველი ციტატები ძირითად ტექსტში ორიგინალის ენაზე უნდა იქნეს მოყვანილი. ციტატის თარგმანი კი მთარგმნელის მონაცემებთან ერთად განთავსდება სქოლიოში. თუ თარგმანი ავტორისეულია, უნდა მიეთითოს მონაცემები. მაგ.: (აქ და ქვემოთ თარგმანი ჩვენია — ნ.ქ.). თუ ტექსტს

კონკრეტული მთარგმნელი ჰყავს, უნდა მიეთითოს მაგალითად ასე: (ივანე მაჩაბელის თარგმანი); გასათვალისწინებელია, რომ მთარგმნელის მონაცემების მითითება ხდება მხოლოდ ერთხელ, პირველ თარგმანთან.

შეცდომა ციტატიში: თუ ციტატისთვის შერჩეულ მონაკვეთში ბეჭდური ან ფაქტობრივი შეცდომა აღმოჩნდება, ის უნდა გადმოიწეროს უცვლელად, ხოლო შეცდომის გასწვრივ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ლათინური მინიშნებით [sic!] უნდა მიეთითოს ამ შეცდომაზე (sic — ქართ. „ასე“, მომდინარეობს ლათინური ფრაზიდან sic erat scriptum, რაც ნიშნავს: „ნამდვილად ასე ეწერა“).

ციტატის დამოწმება: ყველა ციტატას სჭირდება დამოწმება.

## 2. პარაფრაზი (E. Paraphrase; Gk. Paraphrasis -აღწერა) /პარაფრაზირება:

პარაფრაზი (E. Paraphrase; Gk. Paraphrasis -აღწერა) არაპირდაპირი ციტატაა. მასში იგულისხმება სხვა ტექსტების მონაკვეთების გადმოცემა საკუთარი სიტყვებით, თხრობა ტექსტთან ახლოს. ამ შემთხვევაში, წინადადების წყობა (და არა შინაარსი!) იცვლება და სიტყვათა უმეტესობა სინონიმებით ნაცვლდება. გადმოცემული შინაარსი ბრჭყალების გარეშე იწერება. პარაფრაზირებისას არ უნდა დამახინჯდეს და დაიკარგოს მისი მთავარი აზრი და არ დაშორდეს ავტორის ძირითად იდეებს. პარაფრაზირების დასრულების შემდეგ მონაკვეთი ისევე უნდა დამოწმდეს, როგორც ციტატა.

გასათვალისწინებელია, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ხშირად, „პარაფრაზის“ ნაცვლად იხმარება ტერმინი „პერიფრაზი“, რაც არამართებულია, რადგან ეს ორი ტერმინი პარონიმებია და არა იდენტური ცნებები. შესაბამისად ავტორმა უნდა გამიჯნოს კონკრეტულად რა ხერხს მიმართავს.

პერიფრაზი (E. Periphrasis, Gk. periphrasis -არაპირდაპირი საუბარი, peri - გარშემო, მახლობლად, იქვე) არის სიტყვის ან დასახელების შეცვლა აღწერილობითი სიტყვათშეთანხმებით; აზრის გავრცელებულად გამოთქმა; გამოთქმა, რომელიც აღწერით ვრცლად გადმოსცემს სხვის ნათევამს ან ცალკეულ სიტყვებს.

## 3. რეზიუმე/რეზიუმირება:

რეზიუმირება ეწოდება სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას ტექსტის ვრცელი მონაკვეთების გადმოცემა-შეჯამებას. ამგვარი შეჯამება მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს და მასში უნდა ჩანდეს ვინ დაწერა / შექმნა ტექსტი? სად დაიბეჭდა / გამოიცა იგი? რისი გამოკვლევა / დადგენა სურს ავტორს? როგორ არის აგებული ტექსტი? როგორ წარიმართა კვლევა? რა გამოიკვეთა ჩატარებული კვლევის საფუძველზე?

## 4. Passim:

სამეცნიერო ნაშრომებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტორი თავისი მსჯელობის ასაგებად დიდწილად ერთ კონკრეტულ ტექსტს ეყრდნობა. ამგვარი მიმართება, შეიძლება, გამოიხატოს ტერმინით passim (ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ყველგან“, „გამონაკლისის გარეშე“, „აქაც და იქაც“), შემდგნაირად: ავტორის გვარი, წელი passim. თუ რომელიმე წიგნიდან ერთი მონაკვეთი ან თავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშრომისთვის, შესაძლებელია გვერდის მითითებაც: (ავტორის გვარი წელი passim გვერდის ნომერი).

## 5. მინიშნება

სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისას შესაძლებელია ავტორი შეხვდეს საკულტურული ისეთ წყაროებს, რომელთა მონაკვეთების ციტირება, პარაფრაზირება ან რეზიუმირება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, თუმცა სურს, რომ მკითხველს მიანიშნოს მათზე. ამგვარად წარმოჩნდება, რომ ავტორი იცნობს ამ წყაროებს, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ რთავს მათში შესულ მოსაზრებებს ან ციტატებს საკუთარ ნაშრომში.

მინიშნების საშუალებით შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ: სხვა ავტორები იზიარებენ ნაშრომში გამოთქმულ პოზიციას; სხვა ავტორებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ; სხვა ავტორებმა შეაჯამეს ის საკითხი, რაც ნაშრომში იქნა ნახსენები; სხვა ავტორებთან საკითხზე დამატებითი ინფორმაცია მოიპოვება. სხვა მკვლევართა პოზიციების წარმოდგენისას ავტორი განამტკიცებს საკუთარ პოზიციას და ამგვარად, ებმევა დარგობრივ დისკუსიაში. ამ დროს მნიშნელოვანია, სპეციფიკური ენობრივი საშუალებებით ნათლად გამოჩნდეს, თუ ვისია მსჯელობა: როდის გადმოიცემა საკუთარი მოსაზრებები და როდის - სხვისი. მინიშნების დამოწმება ხდება შემდეგნაირად: (იხ. ავტორის გვარი წელი, გვერდ(ები)).

## 6. წყაროების დამოწმება ჩიკაგოს სტილით

სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას, იმის მიუხედავად, რა ტიპის წყარო უნდა დამუშავდეს, საჭიროა წყაროს მითითება, ე.წ. დამოწმება. ეს უკანასკნელი კორექტულად და სათანადოდ წესების დაცვით უნდა შესრულდეს, რათა მკითხველმა შეძლოს მითითებული წყაროს გადამოწმება და თავიდან იქნეს არიდებული პლაგიატი.

გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში გამოყენებულია ტექსტში წყაროს მითითების ჩიკაგოს და APA-ს სისტემები. ამ სისტემებით ტექსტში წყაროს მითითების წესი ერთმანეთისგან მხოლოდ მცირედით განსხვავდება: ორივე შემთხვევაში, ტექსტში წყაროს გამოყენებისას აუცილებელია მოხდეს წყაროს ავტორის და გამოცემის წლის იდენტიფიცირება.

გასათვალისწინებელია, რომ ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „ჩართულის“ გამოყენება უფრო პოპულარული გახდა, მკვლევარნი მას მოსახერხებლად მიიჩნევენ, რადგან შესაძლებელია წყარო პირდაპირ ტექსტში, უშუალოდ მოხსენიებისთანავე იყოს მითითებული.

სავალდებულოა წყაროს დამოწმება როგორც ტექსტის შიგნით, ასევე ტექსტის გარეთ,  
ბიბლიოგრაფიაში.




წყარო მიეთითება მაშინ, როდესაც:

- 1) მოყვანილია ციტატა;
- 2) კეთდება პარაფრაზი ან რეზიუმე (სხვა ავტორთა იდეები, მოსაზრებები, დასკვნები და ა.შ. გადმოიცემა საკუთარი სიტყვებით);
- 3) კეთდება მინიშნება (მკითხველის ყურადღებას მიპყრობა ხდება წყაროებზე, რომლებიც შეესაბამება ავტორის მსჯელობას, არგუმენტებს);

- 4) გამოყენებულია სხვათა მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები, ფაქტები, ცხრილები (ამ შემთხვევაში საჭიროა, მიეთითოს უშუალოდ სტატისტიკური მონაცემების ავტორი და არა ის წყარო, რომელშიც არის ეს ინფორმაცია);
- 5) გამოყენებულია საჯარო გამოსვლები, ფოტო/ვიდეო მასალა, წერილები და ა.შ.

წყაროების დამოწმების ფორმები



#### 1. ტექსტში ჩართული (ე.წ. მოკლე დამოწმების) ფორმატი:

გასათვალისწინებელია, რომ სამეცნიერო დისციპლინების უმეტესი ნაწილი, სწორედ ტექსტში ჩართულ დამოწმებას იყენებს, რადგან ეს უკანასკნელი ტექსტის კორპუსს არ ტვირთავს, არ ზრდის ნაშრომის მოცულობას და შესაბამისად, აადვილებს კითხვის პროცესს. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში უფრო პოპულარული გახდა, „ჩართულის“ გამოყენება, რადგან მკვლევარნი მას უფრო მოსახერხებლად მიიჩნევენ. „ჩართული“ სამუშალებას იძლევა, წყარო პირდაპირ ტექსტში, უშუალოდ მოხსენიებისთანავე იყოს მითითებული. ტექსტში ჩართული მითითებისას (ე.წ. მოკლე დამოწმება) კონკრეტულ ადგილზე ფრჩხილებში მიეთითება მხოლოდ ავტორის გვარი, წყაროს გამოცემის წელი და გვერდი, რომლიდანაც ციტატაა მოყვანილი. წყაროს სრული მონაცემები კი ტექსტის გარეთ, ბიბლიოგრაფიაში უნდა აღინუსხოს. ასე, მაგალითად:

ტექსტში	ის აცხადებს, რომ „.....“ (გვარი წელი გვერდი)
ბიბლიოგრაფიაში	გვარი, სახელი. წელი. ნაშრომის სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა

ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშის გარდა, ხშირად გვხვდება წყაროს ტექსტში ჩართვის შემდეგი ფორმები:

ერთზე მეტი ნაშრომის მითითება	მკვლევრები პარალელს ავლებენ ოსურსა და აფხაზურ ენებთან (მაღრაძე 2014; გეგეჭკორი და ქურდაძე 1987; სურგულაძე და სხვ. 2011)
მსჯელობაში ნახსენები ავტორის მითითება	თამარ მიქამე დეტალურად აღწერს ქართული ენის თავისებურებებს (2007, 145-50). ამავე პერიოდში ბრუს ფრეიზერმა (1965) ახალი თეორია შექმნა.
ნაშრომების მითითება ერთი და იმავე ავტორითა და გამოცემის თარიღით	(ნოდია 2013ა, 23), (ნოდია 2013ბ, 104-106)
ავტორები ერთი და იმავე გვარით	(მ. გიორგაძე 2016, 14) (ა. გიორგაძე 1998, 50)

## 2. წყაროების დამოწმება შენიშვნების (სქოლით) ფორმატით:

წყაროს შენიშვნებში მითითების ფორმატი, ე.წ. ტექსტებება დამოწმება, მეტწილად ჰუმანიტარულ და ზოგიერთ სოციალურ მეცნიერებებში გვხვდება. ამ შემთხვევაში წყაროს მითითება ხდება წინადადების ბოლოს სქოლით ინდექსის დასმით და სათანადოდ დანომრილ შენიშვნებში, გვერდის ბოლოს, წყაროს სრული მონაცემების მითითებით. დამოწმების ამგვარი სისტემა, ერთი მხრივ, მოსახერხებელია, რადგან მკითხველს იქვე შეუძლია შეამოწმოს წყაროს სრული მონაცემები, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ინფორმაციის გამეორებას განაპირობებს, რადგან შენიშვნებში დამოწმებული წყაროები ნაშრომის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაშიც უნდა აღინუსხოს. შენიშვნებში წყაროს დამოწმებისას მნიშვნელოვანია, შემდეგი მითითებების გათვალისწინება:

- 1) სქოლითომი წყაროს პირველად დამოწმებისას უნდა მიეთითოს წყაროს შესახებ სრული მონაცემები: ავტორი, სათაური, ინფორმაცია გამოცემის შესახებ და გვერდ(ებ)ის ნომერი.
- 2) წყაროს ხელმეორედ გამოყენებისას იწერება მისი შემოკლებული მონაცემები: ავტორის გვარი, შემოკლებული სათაური, გვერდების ნომერი.
- 3) იმავე გვერდზე წყაროს გამეორების შემთხვევაში (თუ დამოწმებული წყაროს შემდეგ სხვა ტექსტი არ არის მითითებული) სქოლითომი იწერება სიტყვა „იქვე“ „ან ლათინური ibidem, შემოკლებით ibid.

ტექსტში	ის აცხადებს, რომ „.....“ (გვარი წელი გვერდი)
სქოლითომი	სახელი გვარი, ნაშრომის სათაური (გამოცემის ადგილი: გამომცემლობა, წელი), გვერდი.

- 4) სქოლით შეიძლება განთავსდეს ტექსტის ქვეშ, გვერდის ბოლოს (ინგ. Footnote) ან მთლიანი ტექსტის ბოლოს (ინგ. Endnote). ყოველთვის სჯობს შენიშვნების მითითება გვერდის ბოლოს თუ შენიშვნები დიდ ადგილს არ იკავებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სქოლით ინდექსი (მისათითებელი ნიშანი) დაისმის ყოველთვის ბრჭყალების, სიტყვის ან წინადადების შემდეგ და არ გამოიტოვება ცარიელი სივრცე მის წინ. დაუშვებელია სიტყვის ან წინადადების წინ სქოლით ინდექსის დასმა.
- 5) Word-ის დოკუმენტში სქოლით დაფორმატების ინსტრუქცია: კურსორი უნდა დაისვას სიტყვის, წინადადების ან სასვენი ნიშნის შემდეგ და „დაწვაპუნდეს“ References → Insert Footnote

(გამოყენებული უნდა იყოს არაბული ნუმერაცია); ძირითად ტექსტში და პარალელურად გვერდის ბოლოს გაჩნდება სათანადო სქოლიოს ინდექსი, რომლის გასწვრივაც დაიწერება საჭირო ინფორმაცია; სქოლიო უნდა გაიმართოს შემდეგი პარამეტრების დაცვით: შრიფტის ზომა-10, სტრიქონებს შორის ინტერვალი-1, კიდეების მწყობრი განლაგებისთვის უნდა მოინიშნოს Justify Text

- 6) სქოლიოს დამატებითი დანიშნულება: წყაროს დამოწმების გარდა სქოლიო გამოიყენება დამატებითი, მეორეხარისხოვანი ინფორმაციის მისათითებლად. ეს შეიძლება იყო ისეთი ინფორმაცია, რომელიც ორგანულად არ ჯდება ძირითად ტექსტში, უფრო გასაგებს ხდის ავტორის მსჯელობას. ამგვარ ინფორმაციას განეკუთვნება: ტერმინების, ფორმულების განმარტება, დასახელებული პირების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, ისტორიული საფუძვლები, დაწვრილებითი აღწერები, უცხო ენაზე ციტირებული ტექსტის თარგმანები და ა.შ. ამავე დროს, სქოლიო არ უნდა იქცეს ცოდნის დემონსტრირების ადგილად, რომელშიც ყველაფერს დაიწერება იმის მიუხედავად, რამდენად უკავშირდება იგი ნაშრომის მთავარ საკვლევ საკითხს.

### 3. ტექსტის გარეთ წყაროების დამოწმება (ბიბლიოგრაფია)

ბიბლიოგრაფიაში თავს იყრის ყველა ის წყარო, რომელიც გამოყენებულია ნაშრომში. დაუშვებელია, მკითხველზე ნაკითხობით კარგი შთაბეჭდილების შექმნის მიზნით ბიბლიოგრაფიაში ისეთი წყაროების შეტანა, რომელთაც ავტორი არ იცნობს. ბიბლიოგრაფიაში წყაროს მითითების პრინციპი დამოკიდებულია იმაზე, რომელი ტიპის დამოწმებას ირჩევს ნაშრომის ავტორი:

თუ გამოყენებულია ტექსტში ჩართული დამოწმება, ბიბლიოგრაფიაში წყარო მიეთითება  
ამგვარად:

წიგნის ავტორის გვარი, სახელი	გამოცემის წელი	ნაშრომის სათაური (დახრილი შრიფტით)	გამოცემის ადგილი	გამომცემლობა
---------------------------------	----------------	--	---------------------	--------------

თუ გამოყენებულია სქოლიოში დამოწმება, ბიბლიოგრაფიაში წყარო მიეთითება ამგვარად:

წიგნის ავტორის გვარი, სახელი	ნაშრომის სათაური (დახრილი შრიფტით)	გამოცემის ადგილი	გამომცემლობა	გამოცემის წელი
---------------------------------	--	---------------------	--------------	----------------

ბიბლიოგრაფიის შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

- 1) ტექსტში დამოწმებული წყაროები უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოგრაფიულ მუხლებს.
- 2) ბიბლიოგრაფიაში აღნუსხული ლიტერატურა ლაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორთა გვარების მიხედვით, არ ინომრება და არ უკეთდება ბულეტები.
- 3) ბიბლიოგრაფიული მონაცემები არ ითარგმნება და წყარო მოწმდება დედნის ენაზე.

მაგალითად, ინგლისურენოვან წყაროებს მითითება ხდება ინგლისურ ენაზე.

- 4) შესაძლებელია წყაროების დაყოფა კატეგორიებად ფორმის მიხედვით (ხელნაწერი, საარქივო კოლექცია, ვიდეო ჩანაწერები და ა.შ.), რიგის მიხედვით (პირველწყარო, მეორეული წყარო, მესამებარისხოვანი წყარო) და ენის მიხედვით (გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურა რუსულ ენაზე და ა.შ). მაგალითად:

თავერი, ბენჯამინ. 2003. პიროვნული თავისუფლება საზოგადოებისკენ. რედ. ნიკოლოზ ჟვანია.  
 მთარგმნ. თამარ კაცია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 გამომცემლობა.  
 ▪ პირველის გარდა ყველა სტრიქონი შეწეულია მარჯვნივ 1.2 სმ-ით.

- 5) ელექტრონულად მოპოვებულ ყველა წყაროს (იქნება ეს წიგნი, ელ. სტატია თუ ვებგვერდი) სრულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, უნდა მიეთითოს ლინკი და ნახვის თარიღი.
- 6) სხვადასხვაგვარი წესი მოქმედებს სხვადასხვა ტიპის წყაროს დამოწმებისას. წყარო კი შეიძლება იყოს წიგნები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, დისერტაციები, ვებგვერდები, საკანონმდებლო ტექსტები და ა.შ. მათი მითითებისას ყურადღება უნდა მიეცეს ისეთ დეტალებს, როგორიცაა, ინფორმაციის თანმიმდევრულობა, სასვენი ნიშნების მართლწერა, შრიფტის დახრა და მათი დაცვა მთელი ნაშრომის ფარგლებში. ქვემოთ მოცემულია ყველაზე გავრცელებული რესურსების ტექსტში ჩართული და ბიბლიოგრაფიაში მითითების მოდელები.
4. დამოწმების ნიმუშები წყაროს ტიპის მიხედვით

წყაროს ტიპი	ტექსტში ჩართული (პირველი სტრიქონი) და ბიბლიოგრაფიაში (მეორე სტრიქონი) მითითების ნიმუშები
<b>წიგნი</b>	
ერთი ავტორი	(ავალიანი 2014, 16) ავალიანი, სერგი. 2014. მეოცე საუკუნის ნატურფილოსოფია. თბილისი: მერიდიანი.
ორი ავტორი	(როგავა და ბიბილეიშვილი 2011, 12) როგავა, მედეა და ლუბა ბიბილეიშვილი. 2011. ფუნქციური წერა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
სამი ავტორი	(Bomberg, Peterson and Stubb 2008, 69) Bomberg, Elizabeth, John Peterson and Alexander Stubb. 2008. The European Union: How does it work? Oxford: Oxford University Press.
ოთხი ან მეტი ავტორი	Hall and et al. 1987, 100). Hall, Jacquelyn Dowd, James Leloudis, Robert Korstad, Mary Murphy, Lu Ann Jones and Christopher B. Daly. 1987. Like a family: The making of a Southern cotton mill world. Chapel Hill: University of North Carolina Press.
რედაქტორი ავტორთან ერთად	(Bonnefoy 1995, 80) Bonnefoy, Yves. 1995. New and selected poems. Ed. John Naughton and Anthony Rudolf. Chicago: University of Chicago Press.

რედაქტორი ავტორის ნაცვლად	(გურჩიანი 2010, 47) გურჩიანი, ქეთევან, რედ. 2010. ისტორიის შესახებ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თარგმნილი წიგნი	(სტიგლიცი 2012, 17) სტიგლიცი, ჯოზეფ. 2012. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკავშირება. მთარგმნ. ლია ჯამბურია. თბილისი: საუნჯე
ორგანიზაცია როგორც ავტორი	(World Health Organization 2003, 50) World Health Organization. 2003. Organization of services for mental health. Geneva: World Health Organization.
მრავალტომიანი ნაშრომის ცალკეული ტომი	(ბარნოვი 1964, 15) ბარნოვი, ვასილ. 1964. ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები. ტ. 10, თხზულებათა სრული კრებული: 10 ტომად. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
ნაშრომი კრებულიდან	(Carr and Schuurman 1996, 59) Carr, Anne, and Douglas J. Schuurman. 1996. Religion and feminism: A reformist Christian analysis. In Religion, feminism, and the family, ed. Anne Carr and Mary Stewart Van Leeuwen, 11-32. Louisville, KY: Westminster John Knox Press.
ინტერნეტში განთავსებული წიგნი	(თურაბიანი 2007, 105) თურაბიანი, ქეით ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტისა და მკვლევრებისათვის. მთარგმნ. ანა ადამია და მარინე თავყელიშვილი. <a href="https://bit.ly/2z4DMSS">https://bit.ly/2z4DMSS</a> (29.06.2018).
<b>სტატია</b>	
სამეცნიერო ჟურნალიდან სტატია	(Burns 2005, 84) Burns, Sarah. 2005. Ordering the artist's body: Thomas Eakins's acts of self- portrayal. American Art 19, no. 1 (Spring): 82-107.
ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატია	(Uzzi and Spiro 2005) Uzzi, Brian, and Jarrett Spiro. 2005. Collaboration and creativity: The small world problem. American Journal of Sociology 111, no. 2 (September). <a href="http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/">http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/</a> 090090.html (19.12.2015).
სტატია პოპულარული ჟურნალიდან	(Shapiro 2004, 16) Shapiro, Mark. 2004. New power for "Old Europe." The Nation, December 27.
<b>სხვა რესურსები</b>	
სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია	(ოდიკაძე 2014, 17) ოდიკაძე, ელისო. 2014. ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფცია და დისკურსი როგორც შემოქმედებითი აქტი. დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვებგვერდი	(განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2018) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. კოპენჰაგენის პროცესი. <a href="http://www.eqe.ge/geo/static/81/education">www.eqe.ge/geo/static/81/education</a>
სხვადასხვა წმიდა წიგნი	(1 Thess. 4:11, 5:2-5, 5:14) შენიშვნა: ბიბლიისა და სხვა წმიდა წიგნების ბიბლიოგრაფიაში მითითება საჭირო არ არის.

წყარო: ქავთარაძე, თ. ქასრაშვილი, ნ. საღინაძე, ნ. პატარიძე, ს. საბაური, თ.. აკადემიური მუშაობის  
საფუძვლები: პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. 2018 passim.  
ან:

წაროს ტიპი წიგნი	სქოლიოში(*ინდექსით) და ბიბლიოგრაფიაში მითითების ნიმუშები
ერთი ავტორი	<sup>1</sup> სერგი ავალიანი, მეოცე საუკუნის ნატურფილოსოფია (თბილისი: მერიდიანი, 2014), 16.  ავალიანი, სერგი. მეოცე საუკუნის ნატურფილოსოფია. თბილისი: მერიდიანი, 2014.
ორი ავტორი	<sup>2</sup> მედეა როგავა და ლუბა ბიბილეიშვილი, ფუნქციური წერა (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011), 12.  როგავა, მედეა და ლუბა ბიბილეიშვილი. ფუნქციური წერა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
სამი ავტორი	<sup>3</sup> Elizabeth Bomberg, John Peterson and Alexander Stubb, The European Union: How does it work? (Oxford: Oxford University Press, 2008), 69.  Bomberg, Elizabeth, John Peterson and Alexander Stubb. The European Union: How does it work? Oxford: Oxford University Press, 2008.
ოთხი ან მეტი ავტორი	<sup>4</sup> Jacquelyn Dowd Hall and et al., Like a family: The making of a Southern cotton mill world (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1987), 99.  Hall, Jacquelyn Dowd, James Leloudis, Robert Korstad, Mary Murphy, Lu Ann Jones and Christopher B. Daly. Like a family: The making of a .
რედაქტორი ავტორთან ერთად	<sup>5</sup> Yves Bonnefoy, New and selected poems, ed. John Naughton and Anthony Rudolf (Chicago: University of Chicago Press, 1995), 80.  Bonnefoy, Yves. New and selected poems. Ed. John Naughton and Anthony Rudolf. Chicago: University of Chicago Press, 1995.
რედაქტორი ავტორის ნაცვლად	<sup>6</sup> ქეთევან გურჩიანი, რედ., ისტორიის შესახებ (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010), 47. გურჩიანი, ქეთევან, რედ. ისტორიის შესახებ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

თარგმნილი წიგნი	<sup>7</sup> ჯოზეფ სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. მთარგმნ. ლია ჯამბურია (თბილისი: საუნჯე, 2012), 17.  სტიგლიცი, ჯოზეფ. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. მთარგმნ. ლია ჯამბურია. თბილისი: საუნჯე, 2012.
ორგანიზაცია როგორც ავტორი	<sup>8</sup> World Health Organization, Organization of services for mental health (Geneva: World Health Organization, 2003), 50.  World Health Organization. Organization of services for mental health. Geneva: World Health Organization, 2003 .
მრავალტომიანი ნაშრომის ცალკეული ტომი	(ბარნოვი 1964, 15)  ბარნოვი, ვასილ. 1964. ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები. ტ. 10, თხზულებათა სრული კრებული: 10 ტომად. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
ნაშრომი კრებულიდან	<sup>9</sup> Anne Carr and Douglas J. Schuurman, "Religion and feminism: A reformist Christian analysis. In Religion, feminism, and the family", ed. Anne Carr and Mary Stewart Van Leeuwen (Louisville, KY: Westminster John Knox Press, 1996), 11-32.  Carr, Anne, and Douglas J. Schuurman. 1996. Religion and feminism: A reformist Christian analysis. In Religion, feminism, and the family, ed. Anne Carr and Mary Stewart Van Leeuwen, 11-32. Louisville, KY: Westminster John Knox Press, 1996.
ინტერნეტში განთავსებული წიგნი	<sup>10</sup> ანიტა ვულფოლკი, განათლების ფსიქოლოგია (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009), 105. <a href="https://library.iliauni.edu.ge/ebooks/anita-vulpholki-ganathlebis-phsiqologia/">https://library.iliauni.edu.ge/ebooks/anita-vulpholki-ganathlebis-phsiqologia/</a> (30.03.2018).  ვულფოლკი, ანიტა. განათლების ფსიქოლოგია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009. <a href="https://library.iliauni.edu.ge/ebooks/anita-vulpholki-ganathlebis-phsiqologia">https://library.iliauni.edu.ge/ebooks/anita-vulpholki-ganathlebis-phsiqologia</a> (30.03.2018)
<b>სტატია</b>	
სამეცნიერო ჟურნალიდან სტატია	<sup>11</sup> Sarah Burns, „Ordering the artist's body: Thomas Eakins's acts of self-portrayal“, American Art 19, no. 1 (Spring 2005): 84.  Burns, Sarah. „Ordering the artist's body: Thomas Eakins's acts of self-portrayal“. American Art 19, no. 1 (Spring 2005): 82-107.
ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატია	<sup>12</sup> Brian Uzzi and Jarrett Spiro. "Collaboration and Creativity: The Small World Problem". American Journal of Sociology 111, no. 2 (September 2005), <a href="http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html">http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html</a> (19.12.2015).  Uzzi, Brian, and Jarrett Spiro. "Collaboration and Creativity: The Small World Problem." American Journal of Sociology 111, no. 2 (September 2005). <a href="http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html">http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html</a> (19.12.2015).

სტატია პოპულარული ჟურნალიდან  სხვა რესურსები	<sup>13</sup> Mark Shapiro, “New Power for ‘Old Europe’”, The Nation, December 27, 2004, 12-13.  Shapiro, Mark. “New power for ‘Old Europe.’” The Nation, December 27, 2004.
სადიპლომო ნაშრომი ან დისერტაცია	<sup>14</sup> ელისო ოდიკაძე, „ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფცია და დისკურსი როგორც შემოქმედებითი აქტი“ (დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014), 17.  ოდიკაძე, ელისო. „ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფცია და დისკურსი როგორც შემოქმედებითი აქტი“. დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
ვებგვერდი	<sup>15</sup> Evanston Public Library Board of Trustees, “Evanston Public Library Strategic Plan, 2000-2010: A Decade of Outreach,” Evanston Public Library, <a href="http://www.epl.org/library/strategic-plan-00.html">http://www.epl.org/library/strategic-plan-00.html (01.06.2005)</a> .  Evanston Public Library Board of Trustees. “Evanston Public Library Strategic Plan, 2000- 2010: A Decade of Outreach.” Evanston Public Library. <a href="http://www.epl.org/library/strategic-plan-00.html">http://www.epl.org/library/strategic-plan-00.html (01.06.2005)</a>
ბიბლია და სხვა წმიდა წიგნები	<sup>16</sup> Thess. 4:11, 5:2-5, 5:14. შენიშვნა: ბიბლიისა და სხვა წმინდა წიგნების ბიბლიოგრაფიაში მითითება საჭირო არ არის.

## 7. სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ფორმატი APA სტილით

### 1. ციტირება (ამონარიდი):

40 სიტყვაზე ნაკლები ციტატა (ამონარიდი) ბრჭყალებში უნდა ჩაისვას, უნდა დაიბეჭდოს დახრილი შრიფტით და ტექსტში უნდა იყოს ჩართული. 40 სიტყვაზე მეტი ამონარიდი ბრჭყალებში არ უნდა ჩაისვას, უნდა დაიბეჭდოს დახრილი შრიფტით და ტექსტში არ უნდა იყოს ჩართული. ის გამოეყოფა ძირითად ტექსტს ზემოთ და ქვემოთ ხაზებს შორის ორმაგი ინტერვალით, ხოლო ციტატის სტრიქონებს შორის ერთმაგი ინტერვალით.

როდესაც ავტორი არ არის მოხსენებული, ფრჩხილებში უნდა ჩაისვას მისი გვარი და წყაროს გამოცემის თარიღი. მაგალითად:

მილგრემის ექსპერიმენტის ერთ-ერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ ცდის პირები „უნდა ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი იმ ზეგავლენის შესახებ, რაც შეეძლო მათზე მოეხდინა ექსპერიმენტს“ (ბაუმრინდი, 1968, გვ. 44)

ან შემდეგნაირად:

მილგრემის ექსპერიმენტის ერთ-ერთი კრიტიკოსის შეხედულებით (ბაუმრინდი, 1968), ცდის პირები „უნდა ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი იმ ზეგავლენის შესახებ, რომელიც შეეძლო მათზე მოეხდინა ექსპერიმენტს“ (გვ. 34).

კაჭარავა, ლ. მარწყვიშვილი, ხ. ხეჩუაშვილი, ლ. აკადემიური წერა დამწყებთათვის. Center for Social Sciences. თბილისი, 2007. passim

თუ ავტორი მოხსენებულია ტექსტში, აღარ არის საჭირო მისი მითითება ფრჩხილებში. ავტორის გვარის გვერდით ფრჩხილებში უნდა მიეთითოს თარიღი, მაგალითად:

ბაუმრინდი (1968) აღნიშნავდა, რომ მილგრემის ექსპერიმენტის ცდის პირები „უნდა ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი იმ ზეგავლენის შესახებ, რაც შეეძლო მათზე მოეხდინა ექსპერიმენტს (გვ. 34).“

ამასთან, თუ ციტატა იგივე წყაროდან იმავე აბზაცშია მოტანილი, აღარ არის საჭირო დამოწმების გამეორება: მაგალითად: ბაუმრინდი ექსპერიმენტის ლოგიკურ დასაბუთებასაც აკრიტიკებს.

თუ ნაშრომს, ორი ავტორი ჰყავს, დამოწმება ხდება შემდეგნერად:

პეპინსკი და დესტეფანო (1987) მიუთითებენ, რომ მასწავლებელთა მეტყველებაში ხშირად ვლინდება მათი ფარული მისწრაფებები.

ან

ერთ-ერთი კვლევის თანახმად (პეპინსკი და დესტეფანო, 1987), მასწავლებელთა მეტყველებაში ხშირად ვლინდება მათი მისწრაფებები.

ინგლისურ ენაზე გამოყენებული ციტატის შემთხვევაში, ტექსტში ავტორების გვარები “და” კავშირით უკავშირდება ერთმანეთს, ხოლო ფრჩხილებში ორი ავტორის დაკავშირებისას, &” სიმბოლო გამოიყენება, მაგალითად, (Pepinsky & DeStefano, 1987).

თუ ნაშრომს ხუთი ავტორი ჰყავს, მაგ: პეპინსკი, დუნი, სმიტი, რენტი და კორსონი (1993) აღწერენ, თუ როგორ ვლინდება შეხედულებები ჟესტებით, პირველი ციტირების შემთხვევაში ხუთივე (ან სამივე) ავტორის გვარის მითითება ხდება, როგორც ეს მოყვანილ მაგალითშია ნაჩვენები, ხოლო მეორედ ამავე ავტორთა მოხსენიებისას მხოლოდ პირველი ავტორის გვარი და “და სხვ.” უნდა მიეთითოს მაგალითად: პეპინსკის და სხვ., კვლევაში (1993) ჟესტები თავის დაქნევასაც მოიცავს და თვალებით კონტაქტსაც.

როდესაც ორი ან მეტი წყარო გამოქვეყნებულია ერთსა და იმავე წელს, ამ შემთხვევაშიც იმავე წესით ხდება შემოკლება და იმდენი ავტორის გვარი უნდა იქნეს მითითებული, რამდენიც საჭიროა წყაროების ერთმანეთისგან გასარჩევად (მაგალითად, პეპინსკი, დუნი და სხვ., 1993) და (პეპინსკი, ბრედლი და სხვ., 1993).

თუ ნაშრომს ექვსი ან მეტი ავტორი ჰყავს, პირველი ციტირების დროსაც კი მხოლოდ პირველი გვარი უნდა მიეთითოს, რომელსაც მოსდევს “და სხვ..”. ერთ-ერთი კვლევა (რუტტერი და სხვ., 1996) ცდილობს განსხვავებების ახსნას მოზარდების მაგალითზე. თუ ორი წყარო გამოქვეყნებულია ერთსა და იმავე წელს, შემოკლება იმავე წესის მიხედვით ხდება, როგორც მე-8 პუნქტშია მოცემული.

თუ ნაშრომი ავტორთა ჯგუფს ეკუთვნის (ინსტიტუტის, სააგენტოს, კორპორაციის ან ავტორთა სხვა ჯგუფის შემთხვევაში) ჯგუფის სახელწოდება აღინიშნება, როგორც ინდივიდუალური სახელი, მაგალითად : ადრეული წინასწარმეტყველება არ აღმოჩნდა დასაბუთებული (ლორენცის კვლევა, 1997).

უცნობი ავტორის/ ანონიმური ნაშრომის შემთხვევაში ავტორის გვარის ნაცვლად ნაშრომის სათაური უნდა იქნეს მითითებული, სათაური ბრჭყალებში უნდა ჩაისვას (თუმცა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში სათაური ბრჭყალებში არ ჩაისმის), მაგალითად: ერთ-ერთ სტატიაში (“სიკვდილის უფლება”, 1997) აღნიშნულია, რომ ...

ერთი და იმავე ავტორის ორი ან მეტი წყაროს მითითების შემთხვევაში თარიღით მკითხველს აწოდებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ წყაროზე საუბრობთ, მაგრამ თუ ორივე ნაშრომი ერთსა და იმავე წელს არის გამოქვეყნებული, ამ შემთხვევაში წელი ასოებითაც აღინიშნება (როგორც ეს ზემოთ მაგალითშია ნაჩვენები). ასევე, აღინიშნება გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

სხვადასხვა ავტორის ორი ან მეტი შრომის შემთხვევაში წყაროების მითითება ანბანური თანმიმდევრობით ხდება, მაგალითად: ორი კვლევის (მარკონი და ჰამბლენი, 1990; ჰერკოვიცი, 1994) შედეგები აჩვენებს, რომ...

არაპირდაპირი წყარო: დამადასტურებელი საბუთები ჩნდება ვონდის ექსპერიმენტებში (ციტირებულია კვლევაში: მარკონი და ჰამბლენი, 1990). სიტყვა “ციტირებული” მიუთითებს, რომ ვონდის მითითებული კვლევა მოპოვებულია (აღმოჩენილია) მარკონისა და ჰამბლენის კვლევაში. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში კი მხოლოდ მარკონი და ჰამბლენი უნდა მიეთითოს.

ელექტრონული წყაროები: ელექტრონული წყაროების ციტირება ექვემდებარება ზემოთ აღნიშნულ ციტირების სტანდარტებს. მითითებული უნდა იყოს ავტორის გვარი და გამოქვეყნების თარიღი. მხოლოდ ამ შემთხვევაში, ამონარიდის მოტანისას, სტატიისა და წიგნებისაგან განსხვავებით, გვერდის ნაცვლად აბზაცის ნომერი უნდა მიეთითოს.

მაგ.: ფერგუნსონი და ჰოპკინსი (1998) არ მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მტრულობის ექსპერიმენტში (აბზ. 7).

## 2. სქოლიო და შენიშვნა

სქოლიო:

სქოლიო ავსებს და ამდიდრებს ტექსტში მოცემულ ძირითად ინფორმაციას. სქოლიოში არ უნდა იყოს მოცემული რთული, არარელევანტური ანდა არაარსებითი ინფორმაცია. ვინაიდან სქოლიო მკითხველის ყურადღებას იქცევს, ტექსტში მისი ჩართვა მხოლოდ მაშინაა რეკომენდებული, როდესაც ის აძლიერებს, ამყარებს ძირითად ტექსტში მიმდინარე მსჯელობასა თუ გამოთქმულ აზრს.

მაგ.: ეს მცირე ნაწყვეტები, ფაქტობრივად, მოუთითებს აბსტრაქტულობაზე, რომელიც დამახასიათებელია მთლიანად მსხვილმასშტაბიანი გამოკითხვისათვის, რომელთა ანალიზი რეალურად არსებული ადამიანების გამოცდილებისა და არჩევანისგან დამოუკიდებლად ხორციელდება.

სქოლიოში მხოლოდ ერთი აზრი უნდა იყოს მოცემული. თუ ავტორს ერთზე მეტ აბზაცი ან მათემატიკური ფორმულა მოჰყავს, მაშინ უმჯობესი იქნება, რომ ეს ძირითად ტექსტში ან/ და დანართში იქნეს მოცემული და არა სქოლიოში. სქოლიოში, ასევე, შეიძლება მიეთითოს, რომელ

სხვა ავტორთან შეიძლება ამა თუ იმ მასალის მოძიება. კარგად შესრულებულ ნაშრომში არსებითი ინფორმაცია ძირითად ტექსტში უნდა იყოს მოცემული და არა სქოლიოში.

სქოლიო მიეთითება ინდექსით და განსხვავებით ჩიკაგოს სტილისაგან მასში არ მიეთითება დამოწმებული წყარო.

შენიშვნა:

შენიშვნას ავტორი დამატებითი ინფორმაციის ფუნქციას ანიჭებს და ამ გზით მიჯნავს მას ძირითადი ინფორმაციისაგან

მაგ.: <sup>1</sup> ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ნიკო მარმა

ცხრილის თანმხლები შენიშვნა: ცხრილის თანმხლები შენიშვნა თავსდება ცხრილის ქვემოთ, სადაც ახსნილია ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ან მოცემულია დამატებითი ინფორმაცია მათ შესახებ.

### 3. ცხრილი:

ცხრილები მკვლევარს დიდი რაოდენობით მონაცემების კომპაქტურად, მოხერხებულად წარმოდგენის საშუალებას აძლევს. ცხრილებში, როგორც წესი, კონკრეტული რიცხობრივი მონაცემები გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებულ სვეტებად და მწკრივებადაა წარმოდგენილი, რაც აიღებს მათ ურთიერთშედარებას. რამდენიმე მოსაზრების გამო ხელსაყრელია, რომ წინასწარ იქნეს გააზრებული და გადაწყვეტილი, რამდენი ცხრილი იქნება ჩართული ნაშრომში; კერძოდ:

- 1) თუ ნაშრომში დიდი რაოდენობით ცხრილები იქნება, მკითხველს შეიძლება გაუჭირდეს მათი დახარისხება და ავტორის აზრებისთვის თვალის მიდევნება;
- 2) არათანაბარი გადანაწილება ცხრილებსა და ტექსტს შორის (ბევრი ცხრილი და მცირე მოცულობის ტექსტი) შეიძლება პრობლემების წინაპირობა გახდეს ნაშრომის ფორმალური მხარის გაფორმებისას. როდესაც ვერბალური ნაწილი ხშირად წყდება ცხრილით, მკითხველს უჭირს ხოლმე ტექსტის თანმიმდევრულად აღქმა და ავტორის ლოგიკური ჯაჭვისთვის თვალის მიდევნება.
- 3) ცხრილების ჩასმა ართულებს ნაშრომის ფორმალურ ორგანიზებას და ამიტომ ცხრილებით მდიდარი ნაშრომის დაბეჭდვა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ცხრილებით ნაკლებად დატვირთული ტექსტის.

ცხრილისა და ტექსტის ურთიერთმიმართება: ინფორმაციული ცხრილი ავსებს ტექსტს და არ იმეორებს მას, ცხრილი თავისთავად გასაგები უნდა იყოს. მკითხველს ტექსტში უნდა მიეთითოს ცხრილზე და განემარტოს, თუ რას მიაქციოს ყურადღება. ტექსტში მხოლოდ ცხრილის ყველაზე გამოკვეთილი ნაწილები უნდა იქნეს გარჩეული; თუ ცხრილში მოტანილ მთელი მასალა ტექსტში იქნება გარჩეული, მაშინ ცხრილი აღარაფერშია საჭირო. თითოეული ცხრილი ტექსტში უნდა იყოს ინტეგრირებული, მაგრამ ტექსტის გარეშეც სრულიად გასაგები უნდა იყოს.

აბრევიატურა: განმარტებული უნდა იყოს ყველა აბრევიატურა (გამონაკლისია ისეთი სტატისტიკური აბრევიატურები, როგორიცაა M, SD და df), გამოკვეთილი ტექსტისა თუ ფრჩხილების მნიშვნელობა.

საზომი ერთეულები: ყოველთვის უნდა იქნეს მითითებული საზომი ერთეულები.

მონაცემების გამეორება: არ შეიძლება მონაცემების გამეორება სხვადასხვა ცხრილში და მათი ერთად წარმოდგენა. ერთ ნაშრომში წარმოდგენილი ყველა ცხრილი ერთნაირად უნდა იყოს ფორმატირებული, რათა გაიოლდეს მათი აღქმა და მათში წარმოდგენილი მონაცემების შედარება.

გამოყენებულ უნდა იქნეს ერთნაირი ფორმატი, დასახელება, სათაურები და ტერმინოლოგია (მაგალითად, საშუალო მაჩვენებელი ან ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებელი).

ცხრილების დანომვრა: ცხრილები ყოველთვის ინომრება არაბული ციფრებით (ცხრილი N2, ცხრილი N3 ცხრილი N4 და ა.შ.) და არა: ცხრილი 2, ცხრილი 2a, ცხრილი 2b და ა.შ. ტექსტში ცხრილები მათი ნომრებით უნდა იქნეს მოხსენებული და არ შეიძლება ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა “ზემოთ/ქვემოთ მოცემულ ცხრილში” ან “32-ე გვერდზე წარმოდგენილ ცხრილში”, ვინაიდან ნაშრომის სხვადასხვაგვარი ფორმატირებისას ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს როგორც ცხრილის ადგილმდებარეობა ტექსტში, ისე – გვერდების ნუმერაცია.

ცხრილების დასახელება: თითოეულ ცხრილს მოკლე, მაგრამ გასაგები და ახსნითი სათაური უნდა ჰქონდეს (არც ზედმეტად ტელეგრაფული, არც ზედმეტად დეტალიზებული);

მონაცემთა წარმოდგენა ცხრილებში: მონაცემები ძირითადად, რიცხვები, ანუ რაოდენობრივი მონაცემებია, თუმცა ცხრილში შეიძლება თვისებრივი მონაცემების გატანაც. ამ შემთხვევაში იქნება ე.წ. სიტყვიერი ცხრილები. სიტყვიერ ცხრილებში მოცემულია ხოლმე თვისებრივი შედარებები ან აღწერილობითი ინფორმაცია.

#### 4. სურათი

APA-ის სტანდარტით შესრულებულ ნაშრომებში ცხრილისგან განსხვავებული ნებისმიერი ტიპის ილუსტრაციას სურათი (figure) ეწოდება. სურათი შეიძლება იყოს დიაგრამა, გრაფიკი, ფოტო, ნახატი ან სხვა გამოსახულება. ჟურნალებში რაოდენობრივი მონაცემების აღსაწერად ხშირად ცხრილებს ანიჭებენ ხოლმე უპირატესობას, ვინაიდან მათში ზუსტი, კონკრეტული ინფორმაცია მოცემული, სურათებზე, კი, ჩვეულებისამებრ, მკითხველმა უნდა შეაფასოს მონაცემის მნიშვნელობა;

მეორე მხრივ, სურათზე ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს შედეგების პატერნი. ისინი განსაკუთრებით გამოსადეგია ორ ცვლადს შორის მიმართების (ან ამ მიმართების არარსებობის) და არაწრფივი დამოკიდებულების აღსაწერად. გარდა ამისა, კარგად მომზადებული სურათი შეიძლება ტექსტზე უფრო სტრუქტურირებულად ან თვალსაჩინოდ გადმოგვცემდეს ამა თუ იმ შედეგსა თუ ცნებას.

#### 5. გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა შრომაში მითითებული ყველა წყაროს შესახებ ამომწურავ ინფორმაცის გვაწვდის. ავტორმა დაკვირვებით უნდა შეარჩიოს ის ლიტერატურა, რომელსაც დასაბუთებისათვის გამოიყენებს და ჩამონათვალში მხოლოდ ის წყარო უნდა მოიტანოს, რომელიც კვლევის დროს ან შრომის მომზადებისას იყო გამოყენებული.

გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებულია ტექსტში მოტანილი წყარო, ხოლო ბიბლიოგრაფიაში კი – ლიტერატურა, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ინფორმაციულ ან ისტორიულ ფონს აღნიშნული შრომის გასაგებად, ბიბლიოგრაფიაში შეიძლება მითითებული იყოს ლიტერატურა, რომელის საჭიროა საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად, როგორც საკითხავი მასალა მომავლისათვის. ის შეიძლება აღწერით შენიშვნებსაც მოიცავდეს. APA-ს ჟურნალები მოითხოვს გამოყენებული ლიტარატურის ნუსხას და არა ბიბლიოგრაფიას.

ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა ციტირებულია ავტორის გვარი-თარიღის სისტემით და ანბანური თანმიმდევრობით ნუსხაშია მითითებული. აუცილებელია, რომ ტექსტში ციტირებული ლიტერატურა მიეთითოს ჩამონთვალშიც და, შესაბამისად, ნუსხაში მითითებული თითოეული

წყარო მოტანილი იყოს ტექსტშიც. საიდენტიფიკაციო მინიშნებები ორივე ადგილას აბსოლუტურად იდენტური უნდა იყოს.

წყაროს შესახებ მოტანილი ინფორმაცია ზუსტი და ამომწურავი უნდა იყოს, ვინაიდან ნუსხის მითითება ხდება იმ მიზნით, რომ მკითხველმა, საჭიროების შემთხვევაში, წყაროს მოძიება და გამოყენება შეძლოს.

ჩამონათვალში აუცილებლად უნდა მიეთითოს: ავტორი, გამოცემის წელი, სათაური, გამომცემლობა. APA-ის სტილით გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი მოცემულია ბოლო გვერდზე (ახალი გევრდიდან) და მოიცავს სრულ და ამომწურავი ინფორმაციას თითოეული წყაროს შესახებ.

## 6. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის ფორმატი

თანმიმდევრობა: წყაროების მითითება ანბანური თანმიმდევრობით გვარების მიხედვით ხდება. თუ შრომის ავტორი არ არის აღნიშნული, მაშინ მითითება სათაურის პირველი სიტყვების მიხედვით ხდება.

ხაზებს შორის ინტერვალი: ხაზებს შორის ორმაგი ინტერვალი (თუმცა ქართულში ერთნახევარიც დასაშვებია).

პირველი შეწეული სტრიქონი (indentation): თითოეული სტრიქონისთვის შესაბამისი აბზაცი უნდა იქნეს გამოყენებული. APA-ის სტილით რეკომენდებულია თითოეული წყაროს პირველი სტრიქონისთვის 5-7 პოზიციის გამოტოვება:

Rodrigues, R. (1982). *A hanger of memory: The education of Richard Rodriguez*. Boston: Godine.

თუმცა არსებობს მეორე ვარიანტიც: როცა მითითებულ ლიტერატურაში პირველ სტრიქონში პირველი სიტყვა, პირიქით, გამოწეულია და მეორე სტრიქონი 5 პოზიციით შეწეულია.

ავტორები: პირველად უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, შემდეგ სახელი (ერთმანეთისგან მძიმელით გამოიყოფა). როგორც წესი, სახელის (ასევე, მეორე სახელის) მისათითებლად ინიციალები გამოიყენება. ბოლო ავტორის გვარის წინ & კავშირი იწერება.

გამოცემის თარიღი: გამოცემის წელი უნდა მიეთითოს ფრჩხილებში ავტორის ან ავტორების გვარების გვერდით. ჩვეულებრივად, ეს არის ხოლმე წელი, მაგრამ ზოგიერთი ტიპის გამოცემებისთვის (მაგალითად, ჟურნალები და საგაზეთო სტატიები) უნდა მიეთითოს თვე და, იშვიათ შემთხვევაში, დღეებიც.

სათაური: ინგლისურ ენაზე წიგნის ან სტატიის სათაურის მითითების შემთხვევაში, დიდი ასოთი იწერება მხოლოდ სათაურის პირველი სიტყვა, ქვესათაურის პირველი სიტყვა და საკუთარი სახელები. სხვა ყველა დანარჩენი სიტყვა იწერება პატარა ასოებით. სტატიის სათაური ბრჭყალებში არ უნდა ჩაისვას.

გამოცემის ადგილი: წყაროსთვის, რომელიც პერიოდულ გამოცემას არ წარმოადგენს, უნდა მიეთითოს გამოცემის ადგილიც. თუ გამომცემელი რომელიმე კონკრეტულ უნივერსიტეტს წარმოადგენს და ქალაქის (ან პროვინციის) დასახელება მითითებულია უნივერსიტეტის სახელწოდებაშიც, მაშინ მისი გამეორება საჭირო აღარ არის.

გამომცემლობის დასახელება: არაპერიოდული წყაროებისთვის გამომცემლობის მითითებაც აუცილებელია. გამოცემის ადგილის შემდეგ ორწერტილი და შემდეგ გამომცემლობის დასახელება უნდა იქნეს მითითებული. ზოგიერთი გამომცემლობისათვის შესაძლებელია შემოკლებული ვარიანტის გამოყენება (William Morrow-ის ნაცვლად Morrow). შესაძლოა სიტყვების: გამომცემელი, კომპანია და ა.შ. ("CO.", "Inc.", "Publisher") გამოტოვება. თუმცა ასოციაციების, კორპორაციებისა და

უნივერსიტეტის გამოცემლობების მითითებისას სრული სახელწოდებები უნდა აღინიშნოს და ამ შემთხვევაში გამოცემლობის დასახელების გამოტოვება არ ხდება (მაგალითად, “Harvard University Press”).

გვერდების ნუმერაცია: წიგნების ან გაზეთების გვერდების მითითებისას იწერება აბრევიატურა – “გვ.”, ხოლო გვერდებისთვის ყველა ციფრი უნდა აღინიშნოს: “667-668.”

## 7. დანართი

დანართი ორ მიზანს ემსახურება. ის ავტორს მკითხველისთვის კითხვის შეუწყვეტლად დეტალური ინფორმაციის მიწოდებისა და წერის სტილის, წესების დაცვის საშუალებას აძლევს. ჩვეულებრივად, დანართში მათემატიკური დასაბუთება, დიდი ცხრილები, კითხვარის ნიმუშები ან კვლევაში გამოყენებული სხვა ინსტრუმენტები და კომპიუტერული პროგრამებია აღწერილი. ნამრომი შეიძლება ერთ ან მეტ დანართს მოიცავდეს.

დანართის იდენტიფიკაცია და ტექსტში მოტანა: თუ ნაშრომს მხოლოდ ერთი დანართი აქვს, მას მხოლოდ დანართი ეწერება. თუ მას რამდენიმე დანართი აქვს, მაშინ უნდა მიეთითოს: დანართი A, დანართი B და ა.შ. იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ის ტექსტშია მოტანილი. თითოეულ დანართს უნდა ჰქონდეს სახელწოდება. ტექსტში დანართები შესაბამისი სახელწოდებებითაა მოტანილი: ორივე კვლევამ ერთი და იგივე შედეგი აჩვენა (იხ. დანართი A და დანართი B).

ძირითადი ნაწილი და სათაურები: ტექსტის მსგავსად, დანართს აქვს სათაური და ქვესათაური (დანართის შიგნით სათაურის დონის განსაზღვრის მიზნით დანართი ტექსტისგან განცალკევებით უნდა იყოს მოცემული, მაგალითად, ძირითად ტექსტის შეიძლება ოთხდონიანი სათაური ჰქონდეს, მაგრამ თუ დანართს ორდონიანი სათური აქვს, დასათაურება ხდება ისევე, როგორც ორდონიანი ძირითადი ტექსტის). ძირითადი ტექსტის მსგავსად, დანართი შეიძლება მოიცავდეს ცხრილებს და სურათებს და, აგრეთვე, ვრცლად მოცემულ მათემატიკურ ფორმულებს. დანართის ცხრილები და სურათები უნდა დაინომროს. აგრეთვე, უნდა დაინომროს მათემატიკური ფორმულები, თუ ეს აუცილებელია შემდგომი მითითებისთვის. ცხრილების ნომერს თან უნდა დაერთოს დანართის დასახელებაც (მაგალითად, ცხრილი NA1). იმ შემთხვევაში, როცა დანართი ერთია, დანართის ცხრილების და სურათების გადანომრვისას გამოიყენეთ ასო „A,“ რომ ძირითადი ტექსტის ცხრილებისგან და სურათებისგან გარჩევა შესაძლებელი იყოს. დანართში ციტირების წესები იგივეა, რაც ძირითადი ტექსტის შემთხვევაში: – დანართის ყველა ცხრილი და სურათი მითითებული უნდა იყოს დანართში და დანომრილი უნდა იყოს მოტანის რიგის მიხედვით.

ცხრილები, რომლებიც დანართის სახითაა მოცემული: თუ ცხრილი მთლიანად დანართს წარმოადგენს, ცენტრში მოცემული დანართის სახელწოდება და სათაური ცხრილის ნომრის და სათაურის ჩანაცვლებასაც წარმოადგენს. მრავალდონიანი ცხრილები ცალკეული დანართების სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი. თუ ასეთი ცხრილები (მაგრამ არა ტექსტი) კომბინირებულია ერთ დანართში, უნდა დაინომროს ცხრილები.

კითხვარები და ტესტები: თუ ავტორს სურს გამოაქვეყნოს ახალი ტესტი APA-ის ჟურნალში, მაშინ საავტორო უფლებების მფლობელი იქნება APA (ავტორს, რომელსაც სურს, რომ რომ საავტორო უფლებები შეინარჩუნოს, უნდა მიუთითოს: „საავტორო უფლება [წელი] [ავტორის გვარი]). თუ ავტორს სურს მიუთითოს სხვა ავტორის კითხვარი ან ტესტი, ამის უფლება წერილობითი ფორმით უნდა მოიპოვოს.



## 8. APA სტილით დამოწმება წყაროს ტიპის მიხედვით

წიგნი:

წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს: ავტორის სახელის სრული მითითების ნაცვლად მისი ინიციალი იწერება, თუმცა მისი სახელი წყაროს დასახელებაშიც იკითხება. დიდი ასოთი სათაურის და ქვესათურის მხოლოდ პირველი სიტყვა და საკუთარი სახელია მოცემული.

Rodriguez, R. (1982). *A Hanger of Memory: The Education of Richard Rodriguez*. Boston: Godine.

წიგნი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს: ავტორების გვარებს ერთმანეთისგან & გამოყოფს.

Nesselroade, J.R., & Baltes, P.B. (1999). *Longitudinal research in behavioral studies*. New York: Academic Press.

წიგნი, რომელსაც რედაქტორი ჰყავს: რედაქტორთა სახელები მიეთითება როგორც ავტორის სახელი და გვარი, მაგრამ ფრჩხილებში შემოკლებული ფორმით მოცემული უნდა იყოს: „(რედ)“. ინგლისურნოვანი წყაროს მითითების შემთხვავში თუ რედაქტორი ერთია: „(Ed)“, თუ რამდენიმე – „(Eds)“. იქვე, ფრჩხილებში უნდა მიეთითოს გამოცემის წელიც.

Dohrenwend, B. S., & Dohrenwend, B. P. (Eds.). (1994). *Stressful life events: Their nature and effects*. New York: Weley.

წიგნი, რომელსაც მთარგმნელი ჰყავს:

Trajan. P. D. (1927). *Psychology of animals* (H.Simone, Trans.). Washington, DC: Halperin.

წიგნი, რომლის ავტორი მკვლევართა ჯგუფია: როცა წიგნის ავტორი ავტორთა ჯგუფია, როგორიცაა, მაგალითად, მკვლევართა ჯგუფი, სახელმწიფო სააგენტო, კორპორაცია და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფის სახელი უნდა იქნეს მითითებული, როგორც ინდივიდუალური საკუთარი სახელი. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში კი ანბანური თანმიმდევრობით სწორედ ეს სახელი უნდა ჩაიწეროს.

Lorenz Research. (1997). *Research in social studies teaching*. Baltimore: Arrow Books.

წიგნი, რომლის ავტორი უცნობია: თუ წიგნის ავტორი უცნობია უნდა მიეთითოს წიგნის სახელწოდება ანბანური თანმიმდევრობით.

Mariam-Webster's collegiate dictionary (10th ed.). (1997). Springfield, MA: Mariam-Webster.

ერთი და იმავე ავტორის ორი ან მეტი შრომა, რომელიც ერთსა და იმავე წელსაა გამოქვეყნებული: როდესაც გამოყენებულია ერთი და იმავე ავტორის ერთსა და იმავე წელს გამოქვეყნებული შრომა, ისინი უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით, სათაურის პირველი სიტყვის მიხედვით და გამოცემები უნდა გამოირჩეს ერთმანეთისგან ასოების (ა, ბ და ა.შ.) საშუალებით. მაგრამ თუ მითითებულია ერთი და იმავე ავტორის ორ სხვადასხვა შრომას, რომლებიც ერთსა და იმავე წელს არ არის გამოქვეყნებული, ასეთ შემთხვევაში, ჯერ უნდა მიეთითოს უფრო ადრე გამოქვეყნებული შრომა.

Gardner, H. (1973a). *The arts and human Development*. New York: Weliy.

Gardner, H. (1973b). *The guest for mind: Piaget, Levi-Strauss, and the structuralist movement*. New York: Knopf.

წიგნი, რომელიც ხელახლა გამოიცა: ხელახლი გამოცემის თარიღი სათაურის შემდეგ უნდა მიეთითოს, შემდეგ გამომცემლობა უნდა აღინიშნოს.

Bollinger, D.L. (1975). *Aspects of language* (2nd ed). New York. Harcourt Brace Jovanovich.

წიგნი, რომელიც ერთზე მეტი ტომისაგან შედგება:

Lincoln, A. (1953). The collected works of Abraham Lincoln (R.P. Basler, Ed.). (Vol.5). New Brunswick, NJ: Rutgers University Press.

Lincoln, A. (1953). The collected works of Abraham Lincoln (R.P. Basler, Ed.). (Vols.1-8). New Brunswick, NJ: Rutgers University Press.

სტატია:

სტატია ან თავი რედაქტირებული წიგნიდან: გამოცემის თარიღი აუცილებლად უნდა აღინიშნოს. სტატიის ავტორის ან თავის სათაურის შემდგ უნდა მიეთითოს, რომელი წყაროდან არის ამოღებული ნაკვეთი. გვერდების ნუმერაცია უნდა მიეთითოს ფრჩხილებში.

Paykel, E. S. (1994). Life stress and psychiatric disorder: Applications of the clinical approach. In B.S. Dorhewend & B.P. Dorhewend (Eds.), Stressful life events: Their nature and effects (pp. 239-264). New York Weliy.

სტატია ყოველწლიური ჟურნალიდან: სტატიის სათაური ბრჭყალებში არ უნდა ჩაისვას. ჟურნალის სახელწოდება დახრილი უნდა იყოს.

Emery, R.E. (1992). Marital turmoil: interpersonal conflict and the children of discord and divorce. Psychological Bulletin, 92, 310-330

სტატია ჟურნალიდან, რომელსაც ცალკეული ნომრები აქვს: ჟურნალის ნომერი დახრილი არ უნდა იყოს, ის ფრჩხილებში უნდა ჩასვათ.

Dacey, J. (1988). Management participation in corporate buy-outs. Management Perspectives, 7(4), 20-31  
სტატიის აბსტრაქტი: როდესაც აბსტრაქტი და არა სტატიის სრული ტექსტია გამოყენებული, ფრჩხილებში მოწოდებულ უნდა იყოს ამომწურავი ინფორმაცია: სათაური, ტომის ნომერი, გვერდები, აბზაცის ნომერი. რამდენადაც სათაურში სიტყვა აბსტრაქტი არ ფიგურირებს, ამიტომ ის უნდა მიეთითოს წყაროს სათაურსა და პერიოდიზაციას შორის, რომ ცხადი გახდეს, რა წყაროა გამოყენებული.

Emery, R.E. (1992). Marital turmoil: interpersonal conflict and the children of discord and divorce. Psychological Bulletin, 92, 310-330 (From Psychological Abstracts, 69, Item 1320)

სტატია ჟურნალიდან: თუ ჟურნალს აქვს ცალკეული გამოცემები და ნომრები, აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული. ასევე, ნომრის გამოცემის სრული თარიღი და სტატიის გვერდები უნდა იყოს დაფიქსირებული, ოლონდ აბრევიტურის (გვ.) გარეშე.

Van Gelder, L. (1996, Desember). Countdown to motherhood: When shoud you have a baby? Ms., 37 39, 74.

საგაზეთო სტატია: უნდა მიეთითოს, როგორც გამოცემის წელი, ასევე, თვე და დღე. გვერდების მისათითებლად შეიძლება გამოიყენებულ იქნეს აბრავიატურა: „გვ.”

Lewis, P.H. (1999, Jenuary 21 ). Many updates cause profitable confusion. The New York Times , pp. D1,D5.

ხელმოუწერელი სტატია: ჩამონათვალში მიეთითება ანბანური თანმიმდევრობით სტატიის სათაურის მიხედვით. ისევე, როგორ ანონიმური ავტორის წიგნის მითითების შემთხვევაში.

The right to die. (1976, Octomber 11). Time, 121. 101

მიმოხილვა: თუ მიმოხილვა დასათაურებული არაა, გამოიყენება ფრჩხილებში მოცემული ინფორმაცია, როგორც სათაური. წიგნის მითითების შემთხვევაში სათაური დახრილი უნდა იყოს, ჟურნალების შემთხვევაში კი დასახელებაა დახრილი.

Dinnage, R. (1987, November 29). Against the master and his men [Review of the book A mind of

## 9. უნივერსიტეტის მოთხოვნები სამეცნიერო სტატიისადმი

სამეცნიერო სტატიის არსი - სამეცნიერო სტატია არის სამეცნიერო/აკადემიური წაშრომი, რომელიც ასახვს მეცნიერის/დოქტორანტის სამეცნიერო კვლევის შედეგებს. შედეგები შეიძლება იყოს ანალიტიკურ-მიმოხილვითი ხასიათის (ძაგ.: არსებული სამეცნიერო ლიტერატურის/დოკუმენტების/ ნაშრომების ანალიზი/მიმოხილვა) ან სამეცნიერო საზოგადოებაში აღიარებული კვლევის შედეგების დადასტურება/უარყოფა, ან საკუთარი მეცნიერული მიგნებების, დასმული პრობლემების გადაწყვეტის გზების ჩვენება და ა.შ.

სტატიის სათაური - სათაური სტატიის მნიშვნელოვანი ელემენტია. ის კომპაქტურად და ზუსტ წარმოდგენას უნდა ქმნიდეს ნაშრომის შინაარსის/დასმული პრობლემის შესახებ, აღმრავდეს ინტერესს სტატიის წასაკითხად.

ინფორმაცია ავტორის/ავტორების შესახებ - ამ ნაწილში უნდა მიეთითოს ავტორის/ავტორთა სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სამუშაო/სწავლის ადგილი, საკონტაქტო მონაცემები.

სტატიის სტრუქტურა: სტატიის სტრუქტურა შეიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- აბსტრაქტი;
- საძიებო სიტყვები;
- ტექსტი;
- ბუბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა.

სტატიის სტრუქტურის კომპონენტების აღწერა:

აბსტრაქტი: აბსტრაქტი ოპტიმალურად ასახავს თემის/პრობლემის აქტუალობას, მიზნებს, შინაარსსა და კვლევის შედეგებს. მისი წაკითხვით ზოგადი წარმოდგენა იქმნება კვლევის მიზნებისა და შედეგების შესახებ. დაცულია შესაბამისი გამოცემის მიერ დადგენილი ასო-ნიშანთა რაოდენობრივი მოთხოვნა, უნივერსიტეტის აკადემიური გამოცემისთვის ეს არის, არა უმეტეს, 400 ასო-ნიშანი.

საკვანძო სიტყვები: აუცილებელი ელემენტია ნებისმიერი სტატიისთვის. ის გამოიყენება დარგობრივი სფეროს/კვლევის ობიექტის/კვლევის მეთოდების განსაზღვრისათვის და შესაბამისი სტატიის საძიებოდ. სიტყვები/სიტყვათშეერთებები უნდა შეიცავდეს დარგობრივ ტერმინებს, რომლებიც შეიძლება არცენი იყოს გამოყენებული სტატიაში, მაგრამ დამახასიათებელია წარმოდგენილი დარგისთვის. საძიებო სიტყვების ოპტიმალური რაოდენობაა 4-7 ერთეული, ხოლო ფრაზის ფარგლებში - არა უმეტეს 3 ერთეულისა.

ტექსტი: სტატიაში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს შემდეგი ძრითადი ნაწილები:

- ა. შესავალი
- ბ. ძირითადი ნაწილი
- გ. კვლევის შედეგი
- დ. დასკვნა.

აღნიშნული ნაწილები გამოიყოფა შესაბამისი სათაურებით/ქვესათაურებით და უნდა შეიცავდეს რელევანტურ ინფორმაციას.

შესავალი - კონტექსტი ნათლად უნდა წარმოაჩენდეს ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს თემის აქტუალობას და წარმოდგენილი პრობლემის დასმის აუცილებლობას. კონცეპტუალური აპარატი (ჰიპოტეზა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი) მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული კვლევის სპეციფიკასთან მიმართებით.

ძირითადი ნაწილი - ამ ნაწილში წარმოდგენილია თემის შინაარსი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კვლევის მეთოდების განსაზღვრისა და რელევანტურობის დასაბუთებას, კვლევის აღწერასა და შედეგების ანალიზს, კვლევის შეზღუდვების განხილვის ჩათვლით. წერის სტილი მკითხველის ყურადღების მიპყრობის შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს: დასმული პრობლემის უაღრესად მაღალი აქტუალობა, ფაქტების და მოვლენების მკაფიოდ ახსნა, მიზეზშედეგობრივი კავშირების გასაგებად ჩვენება, სამეცნიერო-პროფესიული ლექსიკის ერთმნიშნელოვანი და მიზნობრივი გამოყენება, აზრის არგუმენტირება, ლოგიკური განვითარება. ტექსტში შეიძლება მოცემულ იყოს მცირე რაოდენობით სურათები, ცხრილები, გრაფიკები, შესაბამისი დასათაურებით, საჭიროების შემთხვევაში, შენიშვნა, კონკრეტული თვალსაჩინოების განმარტებისთვის, რომელიც უნდა განთავსდეს მის ქვევით. სასურველია ძირითადი ნაწილის დაყოფა ქვეთავებად, რაც უფრო ადვილად აღსაქმელს გახდის სტატიას.

დასკვნა - დასკვნა ნათლად და კომპაქტურად აჯამებს კვლევის შედეგებს, წარმოაჩენს ნაშრომის ძირითად არსს, მეცნიერულ სიახლეს, უჩვენებს შემდგომი კვლევის პერსპექტივას.

ფორმალური მოთხოვნები

სტატიისათვის ფორმალური მოთხოვნები სხვადასხვა გამოცემას განსხვავებული აქვს, ამდენად, კონკრეტული გამოცემისთვის ნაშრომის გაგზავნის შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნები;

ხოლო გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში (სამეცნიერო ჟურნალი, კონფერენციის მასალათა კრებული და სხვა) წარდგენილი სტატია უნდა აკმაყოფილებდეს, მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია ამ დოკუმენტით

## 10. უნივერსიტეტის მოთხოვნები რეფერატისადმი

**რეფერატი:** რეფერატის (ლათ: *refero* ვაუწყებ, მოვახსენებ) გამოყენება მიზანშეწონილია, როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში და წარმოადგენს მეცნიერული ნაშრომის, მოკლე წერილობით ან ზეპირ გადმოცემას; რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურისა და სხვა წყაროების მიმოხილვას; სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რომელითაც უნდა გამოვლინდეს ავტორის კვლევის ინტერესის სფერო, მისი აკადემიური დონე დარგობრივი სფეროს ფარგლებში და მეცნიერული კვლევის უნარი.

რეფერატის ტიპები: განიხილავნ რეფერატის შემდეგ ტიპებს:

პროდუქტიული რეფერატი ანუ რეფერირების წყაროს შემოქმედებითი და/ან კრიტიკული გაზრება. მისი ფორმებია: რეფერატი-მოხსენება; რეფერატი -მიმოხილვა.

რეპროდუქტიული რეფერატი ანუ რეფერირების წყაროს პირველადი ტექსტის შინაარსობრივი წარმოდგენა. მისი ფორმებია: რეფერატი-კონსპექტი; რეფერატი -რეზიუმე.

ანალიტიკური რეფერატი, თავისი არსით პროდუქტიულ რეფერატებს მიეკუთვნება და წარმოადგენს აკადემიური წერის უანრს, რომლის მიზანია ნაშრომების არსის წვდომა და წერილობითი ფორმით გადმოცემა, სტუდენტისათვის შერჩეული ორი ან სამი სტატიის

საფუძველზე. სტუდენტი ახდენს მოცემული სტატიების შედარებით ანალიზს და გამოხატავს საკუთარ პოზიციას ავტორების მიერ განხილული საკითხის მიმართ.

რეფერატის სტრუქტურა : რეფერატის სტრუქტურა მოიცავს:

- 1) თავფურცელს;
- 2) სარჩევს;
- 3) შესავალს (ნაშრომის/ნაშრომების ავტორთა პოზიციების მოკლე მიმოხილვა);
- 4) ტექსტის ძირითად ნაწილს (სტატიებში განხილული ძირითადი საკითხების ავტორისეული პოზიციების, არგუმენტების მოკლე მიმოხილვა, სტუდენტის მიერ ავტორთა მოსაზრებების შეფასება და საკუთარი პოზიციის წარმოდგენა);
- 5) დასკვნას (საკუთარი შეფასებების შეჯამება და საბოლოო რეფლექსია);
- 6) ბიბლიოგრაფიას/გამოყენებულ ლიტერატურას (შერჩეული სტილის შესაბამისად) ფორმალური მოთხოვნები რეფერატისადმი: რეფერატი შესარულებული უნდა იყოს ამ დოკუმენტით განსაზღვრული წესების საფუძველზე.

## 11. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

- 1) უნივერსიტეტის აკადემიური ნაშრომის სტანდარტს ამტკიცებს რექტორი, ბრძანებით
- 2) სტანდარტში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უნდა დამტკიცდეს რექტორის ბრძანებით;

### გამოყენებული ლიტერატურა

თურაბიანი, ქ. ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის.

„ჩიკაგოს სტილი სტუდენტისა და მკვლევრებისათვის“ . მთარგმნ. ადამია, ა. და თავყელიშვილი, მ..<https://bit.ly/2z4DMSS> (29.06.2018).

კაჭარავა, ლ. მარწყვიშვილი, ხ. ხეჩუაშვილი, ლ. აკადემიური წერა დამწყებთათვის. Center for Social Sciences. თბილისი, 2007

ქავთარაძე, თ. ქასრაშვილი, ნ. სალინაძე, ნ. პატარიძეს. საბაური, თ.. აკადემიური მუშაობის საფუძვლები:

პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. აკადემიური წერის ცენტრი. ერასმუს პლუსის ინსტიტუციური განვითარების პროექტი - „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (INTEGRITY)“. 2018